# ე ლ ვ ა

თ ფ ი ლ ი ს ი

ხუთშაბათი, 30 (12) მარტი

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

გაზეთი „ე ლ ვ ა" წლიურათ ღირს 6 მან., თვიურათ 50 კაპ., ცალკე ნომერი 3 კაპ.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელ გვერდზე 10 კაპ. რედაქციასთან მოლაპარაკება დაუბეჭდავ წერილების შესახებ შეიძლება თორმეტიდან მეორე საათამდე. დაუბეჭდავი წერილები რედაქციაში ინახება 10 დღეს.
რედაქცია იმყოფება ველიკოკნიაჟ. ქუჩ., № 17.

№ 15 ყ ო ვ ე ლ - დ ღ ი უ რ ი გ ა ზ ე თ ი. № 15


[illegible stamp]


[illegible]

გაზეთი „ე ლ ვ ა" მეგაზეთეებმა **უნდა გაყიდონ სამ კაპეიკათ**, როგორც თფილისში, ისე სხვა ქალაქებში და **სახალხო მატარებლებშიაც.**

წლის 12 მარტიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ე ლ ვ ა"

„ელვა" წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., 5 მარტიდან წლის ბოლომდის 5 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მეგაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.
**რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.**
ხელის მოწერა მიიღება:
**თფილისში**: რედაქციის კანტორაში—ველიკოკნიაჟესკ. ქუჩაზე, № 17.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЕЛВА".


### რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ:

რედაქცია თხოვს ბბ-ნ ხელის მომწერლებს, გაზეთის მისაღებათ მიმართონ (ფოსტით ადრე მიდის, ამ საშუალებით კი ადრე მიიღებენ) ჩვენს აგენტებს, რომლებთანაც გაზეთი ნომრობით იყიდება და ხელის მოწერაც მიიღება. აგენტების სია: **ქუთაისში**—ჟურნ.-გაზ. კანტორა „კოლხიდა". **ბათომში**—მიხ. კალანდაძე, **ფოთში**—ბესარიონ ვაშაკიძე, **ოზურგეთში**—მოსე ტუღუში, **სოხუმში**—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, **გორში**—არჩუაძე, **შორაპანში**—ვლად. მოსეშვილი, **ზესტაფონში**—ივ. საყვარელიძე, **სამტრედიაში**—როსტომ [illegible]ლაძე, **ხაშურში**—ი. კვალიაშვილი, **თელავში**—ქეთო ზარაფიშვილისა, **სიღნაღში**—[illegible] მენთეშაშვილი, **ბორჯომში**—მიხ. დადიანი, **ლანჩხუთში**—ვ. ებრალიძე, **ჩოხატაურში**—გიორგი ელენტი.


## განცხადება
### არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

მარტს 1906 წელს ქ. დუშეთი.

დუშეთის მაზრის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი კაპიტანი ე. ი. შმერლინგი ამით ვუცხადებ იმათ, ვისაც დუშეთის მამულეთა სამაზრო კრებაზე მონაწილეობის უფლება აქვს, რომ ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოს მიერ შედგენილი საარჩევნო სიები გამოფენილია სამმართველოს შენობაში 25 მარტიდან და განხილვა მათი შეიძლება ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

განმარტებანი: 1) საარჩევნო სიები გამოიფინება განსახილველათ არჩევნების სამი კვირის წინ (11 დეკ. 1905 წ. უკაზის მე-IX განყოფ.); 2) გამოფენიდან ერთი კვირის განმავლობაში დაინტერესებულ პირთ შეუძლიათ შეიტანონ დუშეთის მაზრის საარჩევნო საქმეთა კომისიაში თხოვნები და განცხადებები სიის შეცდომებზე და ნაკლულევანებებზე; 3) სიების გამოქვეყნებიდან ორი კვირის განმავლობაში ქმრებს და შვილებს ნება აქვთ წარადგინონ მაზრის საარჩევნო საქმეთა კომისიაში მინდობილობის და რწმუნების ქაღალდები მასზე, რომ მათ ცოლის და ან დედ-მამისაგან დაეთმოთ ქონებრივი ცენზი არჩევნებში მონაწილეობისათვის, რათა ისინიც მოაქციონ სიებში სიათა გასწორების წესრიგით (18 ენკენ. 1905 წ. უმაღლესათ დამტკიცებულ წესების მე-13 მუხ.).

დუშეთის მაზრის უფროსის თ. ა.
კაპიტანი **შმერლინგი**

## Объявленіе.

Марта 1906 года, гор. Душетъ.

И. д. душетскаго уѣзднаго начальника капитанъ [illegible] объявляю лицамъ, имѣющимъ право участія въ избирательномъ съѣздѣ землевладѣльцевъ душетскаго уѣзда, что составленные ввѣреннымъ мнѣ управленіемъ избирательные списки выставлены съ 25 сего марта въ помѣщеніи уѣзднаго управленія для ежедневнаго обозрѣнія съ 10 час. утра до 4-хъ час. по полудни.

Справки: 1) избирательные списки выставляются для обозрѣнія за три недѣли до выборовъ (отд. IX ВЫСОЧАЙШАГО указа 11-го декабря 1905 г.); 2) въ теченіе одной недѣли со дня выставленія списковъ, заинтересованныя лица могутъ подавать жалобы и заявленія о неправильностяхъ и неполнотѣ таковыхъ въ уѣздную по дѣламъ о выборахъ комиссію и 3) въ теченіе двухъ недѣль, слѣдующихъ за опубликованіемъ избирательныхъ списковъ, довѣренности на предоставленіе лицами женскаго пола своего имущественнаго ценза ихъ мужьямъ или сыновьямъ для участія въ выборахъ, а также полномочія отцовъ ихъ сыновьямъ на участіе въ выборахъ, могутъ быть представляемы мужьями и сыновьями въ уѣздную по дѣламъ о выборахъ комиссію для внесенія ихъ въ списки въ порядкѣ исправленія послѣднихъ.

Душетскій уѣздный начальникъ
капитанъ Шмерлингъ

## საკანდიტერო
### მ. ი. გემოროკოვისა
### ვოგზლის ქუჩაზე

ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულებისათვის დამზადებული გვაქვს დიდძალი ყოვლგვარი **პასქები, კულიჩები, ყველიანი პასქები და მაზურკები**. ამასთანავე მიღებული გვაქვს დიდძალი მრავალნაირი სააღდგომო საუცხოვო საჩუქრები. ყოველგვარი საუკეთესო მასალისაგან კეთდება სპეციალისტის ზედამხედველობით.

ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ **ა. ი. ალიხანოვის** საუკეთესოთ მოწყობილი

## საკანდიტერო

პატივისცემით აცნობებს პატივცემულ მუდმივ მუშტრებს, რომ წელსაც ჩვეულებრივათ აქვს დიდი პარტია მომზადებული **კულიჩები, პასკები, სირნი პასკები, მაზურკები, ტორტები** და ყოველივე საკანდიტრო ნახელავნები. ამასთანავე იყიდება იაფათ **ზანზანერკეული და ხელოვნური სააღდგომო კვერცხები.**

### არჩევნები
### სახელმწიფო სათათბიროში

თფილისის **ქალაქის გამგეობა** აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ ქალაქ თფილისსა და თფილისის მაზრის სიეზდის **ამრჩევლების სიები** გასაშინჯათ გამოკრული იქნება ქალაქის გამგეობის შენობაში 11 **აპრილიდან.**

### ყაზიბეგის ქალთა სკოლის

სასარგებლოთ წარმოდგენილი იქნება სახაზინო თეატრში 4 აპრილს დღისით

## პირველი მერცხალი

ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით.

## სადურგლო სახელოსნო
### იოსებ მაჭავარიანისა

იღებს და ხელოვნურათ აკეთებს ყოველნაირ სახლის ავეჯს. იქვე იყიდება დამზადებული: გარდერობი, კამოდი, ბუფეტი, სასადილო სტოლი და წიგნების შკაფი.
ელისაბედის ქუჩა, № 11.
(3—3)


### სათათბიროს წევრების არჩევნების გამო

—

დეპეშებმა უკვე გვაცნობეს სათათბიროს წევრების ანუ დეპუტატების პირველ არჩევნების მოხდენის ამბავი რუსეთის სხვა და სხვა ქალაქებში. რამდენათაც მიღებულ ცნობებიდან ჩანს, სათათბიროს წევრებათ [illegible] გავიდნენ, შემდეგ „პროგრესისტები", ე. ი. ცოტათ თუ ბევრათ პროგრესიულ-ზომიერი ელემენტები, ასე რომ მომავალი სათათბიროს უმრავლესობა, თუ არჩევნების საქმე ბოლომდის ასე ჩაიარა, როგორც დღემდის იყო, ასეთ ელემენტებისაგან იქნება შემდგარი. თუ ვინ არიან კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები, ეს ჩვენ რამდენიმეთ ვიცით. სამაგიეროთ, დეპეშებიდან ნათლათ არა ჩანს, ვინ იგულისხმება „პროგრესისტებათ", ეს სიტყვა მეტათ განუსაზღვრელია: პროგრესისტი შეიძლება დაერქვას, როგორც უკიდურეს მემარცხნეს, ისე ზომიერ ლიბერალს, რომელიც პოლიტიკაში უფრო ხშირათ რეაქციონურ როლს თამაშობს. მაგრამ უფრო ხშირათ პროგრესისტობას ყველა ჯურის ლიბერალები ჩემულობენ, და ამ შემთხვევაშიაც იმათზე უნდა იყოს ლაპარაკი. ხოლო ვინ არიან ლიბერალები და ან რაში გამოიხატება მათი „პროგრესისტობა", ესეც მოეხსენება ჩვენ მკითხველებს.

ამნაირათ ბურთი და მოედანი რუსეთის მომავალ სახელმწიფო სათათბიროში კონსტ.-დემოკრატებს და ლიბერალებს დარჩებათ. დეე ასეც იყოს, ამას რაღა ემჯობინებაო, შეიძლება იფიქრონ ზოგიერთებმა. ეჭვი არ არის, რომ, როგორც კონსტ.-დემოკრატებს, ისე ლიბერალებს ნამდვილი კონსტიტუციის დამყარება სურთ და ამიტომ შეიძლება ბევრს ეგონოს, რომ რაკი ისინი სათათბიროში უმრავლესობას შეადგენენ, ამიტომ კონსტიტუციის საქმე უზრუნველყოფილი იქნებაო. დავანებოთ თავი იმას, თუ რანაირ კონსტიტუციას ეტრფიან ყველა ეს ლიბერალები და ცრუ „პროგრესისტები", ვინაიდან არის კონსტიტუცია ფართო დემოკრატიულ ნიადაგზე დამყარებული, რომელშიაც თავიდან ბოლომდე გატარებულია ხალხის თვითმპყრობელობის პრინციპი, რასაც თხოულობენ ყველა უკიდურესი მემარცხნე პარტიები, და იმათ შორის სოციალ-დემოკრატია, და არის ისეთი კონსტიტუცია, სადაც ხალხს მხოლოდ სიტყვით ეძლევა თავისი საქმეების მართვა-გამგეობა, ნამდვილათ კი კი მისი ბედ იღბალი ისევ უმცირესობის—ე. ი. მისი მყვლეფელ-მჩაგვრელების ხელში რჩება. ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალი სათათბიროც სწორეთ ისეთ უმრავლესობიდან იქნება შემდგარი, რომელიც ამ კუდმოკვეცილი კონსტიტუციის მომხრეა. ყოველ შემთხვევაში თუ სათათბიროში ასეთი უმრავლესობა შედგა და მან თავისი გაიყვანა, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითმპყრობელი მთავრობა დამარცხებული დარჩება და დღევანდელი რეჟიმიც ძირეულათ უნდა შეიცვალოს. მაგრამ საფუძვლიანია თუ არა ასეთი ფიქრი? განვიხილოთ დღევანდელი მდგომარეობა:

როგორც ნათქვამიდან დაინახავდა მკითხველი, კონსტ.-დემოკრატები და ლიბერალები სათათბიროს საშუალებით ფიქრობენ კონსტიტუციის დამყარებას, სხვა საშუალება იმათ არა წამთ და არც სურთ. მაგრამ საქმე ის არის, რომ სათათბირო დღევანდელ პირობებში ასეთ იარაღს არ წარმოადგენს. ამ საშუალებით ან იარაღით მთავრობის დამარცხება შეიძლება მხოლოდ იქ, სადაც პარლამენტარული მართვა-გამგეობა უკვე შემოღებულია და სადაც პარლამენტარული ბრძოლა მკვიდრ ნიადაგზე წარმოებს, ე. ი. სადაც ყველა პოლიტიკურ პარტიებს თავისუფალი ასპარეზი აქვს მინიჭებული თავის იდეების გასავრცელებლათ და სააგიტაციოთ, სადაც მთავრობა იარაღით არ იცავს თავის პოზიციას, სადაც თავის მოწინააღმდეგებს იგი არ დევნის დატყვევებით, გადასახლებით, კატორგაში გაზავნით და სხ. თუ რა სურს დღეს რუსეთის ბიუროკრატიულ მთავრობას, ეს ყველასათვის აშკარაა. რომ მას თვითმპყრობელობის გაუქმება და ნამდვილი კონსტიტუციური მართვა-გამგეობის შემოღება არ უნდა, ეს ყველამ უწყის. რისთვის შეთხზა მან ყოვლად უმზგავსი „დროებითი" წესები და კანონები ყოველგვარი თავისუფლების [illegible] მთელი რუსეთი [illegible] ლათ, რისთვის აამოძრავა მთელი თავისი თვალჩენილი თუ საიდუმლო ორგანიზაციები და ძალები განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ, თუ კი იგი ძველ წესწყობილებაზე ხელს იღებს? ბიუროკრატიამ კარგათ იცის, რომ სათათბირო, რაც უნდა იგი ოპოზიციონური დარჩეს, თავისთავათ მისთვის საშიში არ არის. მეტისმეტი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ბიუროკრატია, რომელიც ასე თავგამოდებით ებრძვის რევოლიუციას, ვიღაც მყვირალა კონსტ.-დემოკრატების და ლიბერალების წინაშე ქედს მოიხრის და იარაღს დაყრის. მთავრობას მხოლოდ ხალხის მოძრაობის ეშინია და ანგარიშსაც მხოლოდ მას უწევს, მთავრობა დღეს იბრძვის სათათბიროს გარეთ და იბრძოლებს მანამ, სანამ ან საბოლოოთ არ გაიმარჯვებს ან საბოლოოთვე არ დამარცხდება. ბიუროკრატიამ კარგათ იცის, რომ ჩვენში ჯერ პარლამენტარული ბრძოლა არ დაწყებულა და ყოველ ღონეს ხმარობს, რომ ეს ჩაშალოს. ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ სანამ ბიუროკრატია სათათბიროს გარეთ ფეხზე იქნება, სათათბირო მას ვერას დააკლებს. სულ სხვაა თუ სათათბიროს გარეთ საქმე სხვანაირათ დატრიალდება.

წარმოვიდგინოთ ერთ წუთს წარმოუდგენელი: ვთქვათ, რომ სათათბიროს დიდ უმრავლესობამ მედგარი ოპოზიცია გაუწია მთავრობას და დაადგინა ძირითადი ცვლილების მოხდენა არსებულ წესწყობილებაში. მაგრამ ერთი ის, რომ კანონის ძალით სათათბიროს უფლება არ აქვს არსებული წესწყობილების ძირითად კანონებს შეეხოს. ამიტომ მიდგება თუ არა საქმე ამ ძირითად კანონებზე, სათათბიროს სხდომები უმაღლესი უქაზით შეწყდება და შესაძლებელია ახალი სათათბიროს არჩევნები დანიშნონ. მაგრამ უკანასკნელ ზომას მთავრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიმართავს, როცა ერთი მხრით სათათბირო მის ბატონობას არ დააკანონებს და მეორე მხრით ხალხის მოძრაობა მაღლა აიწევს, ე. ი. როცა გარედან მას რევოლიუციის საშინელი ტალღები მიაწვება. მაგრამ მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალმა სათათბირომ მთავრობას ასეთი მედგარი წინააღმდეგობა გაუწიოს. უფრო მოსალოდნელია, რომ მთავრობა და სათათბირო ერთმანეთში მორიგდენ. მთავრობა უეჭველათ ეცდება მაინც და მაინც არ გააფიცხოს სათათბირო, ეს მისთვის საჭირო დღეს. მთავრობა დაინტერესებულია, რომ სათათბიროს ხალხის თვალში ნდობა ქონდეს, რომ ხალხმა ყველა თავის იმედები სათათბიროზე დაამყაროს. ამით მთავრობა ერთ და იმავე დროს ორ მიზანს მიახწევს: ხალხის მოძრაობა შესუსტდება და სესხსაც იშოვნის, როგორც საზღვარგარეთ, ისე შინ და ჯერ-ჯერობით მას მეტი არაფერი ესაჭიროება. ამიტომ მისთვის არც ის ვარგა, თუ სათათბირო სავსებით მუხლს მოიდრეკს მის წინაშე და სრულ მორჩილებას გამოუცხადებს. მისთვის უფრო ხელსაყრელია, როცა მყვირალა ლიბერალები ეყოლება სათათბიროში, ვინემ შავი რაზმელების წარმომადგენლები, ვინაიდან შავი რაზმელების საშუალებით მთავრობა დღეს ფულს ველარ იშოვის. სწორეთ ასეთი ლიბერალებისაგან იქნება უმეტეს ნაწილათ შემდგარი სათათბირო. ამიტომ სათათბირო ერთნაირი ოინია ბიუროკრატიის მხრით.

ნათქვამიდან აშკარაა, თუ რა ფასი და მნიშვნელობა აქვს კონსტ.-დემოკრატების და „პროგრესისტების" გამარჯვებას დღევანდელ არჩევნებზე. შესაძლებელია, რომ რევოლიუციის მსვლელობისათვის ეს დამაბრკოლებელი გახდეს. ყველამ კარგათ იცის, თუ რას თხოულობს დღეს პროლეტარიატი და გლეხობა; ყველამ უწყის აგრეთვე ისიც, თუ რას თხოულობენ ყველა ეს კნსტ.-დემოკრატები და ლიბერალები: რომ ისინი [illegible] გლეხობას მე, უფრო შესაძლებელია კონსტ.-[illegible] რატების და ლიბერალების შეერთება მთავრობასთან პროლეტარიატის და გლეხობის წინააღმდეგ.

დასკვნა. 1) დღევანდელი ბრძოლა სათათბიროს საშუალებით ვერ გადიწყდება, რადგანაც ბრძოლა წარმოებს არა სათათბიროს კედლებში, არამედ ქუჩაზე, 2) ოპოზიციური ელემენტების არჩევა სათათბიროში უფრო ხელსაყრელია თვით ბიუროკრატიისათვის გამოდგება, ვინემ მოძრაობისათვის.

### ჩვენი ავტონომისტ-ფედერალისტები და მათი საქმიანობა

ჩვენი ავტონომისტ-ფედერალისტები არ ცხრებიან, პირიქით ისინი რეაქციამ უფრო კაი გუნებაზე დააყენა, სოციალდემოკრატიის საწინააღმდეგოთ მეტი სადემაგოგიო მასალა მისცა, და ნაფიცი თუ არა ნაფიცი ფილოსოფოსნი სარბიელზე გამოიყვანა. შინ თუ გარეთ, გაზეთებში თუ კრებებზე თავგამოდებით იცავენ ავტონომიას და უკურთხებენ სოციალდემოკრატებს. აი მაგალითად, „ივერიის" მე 3 №-ში ვკითხულობთ: „უკანასკნელმა ამბებმა (ე. ი. რეაქციის მძვინვარებამ, დაიხსომეთ ეს... გ.) ჩვენს ქვეყანაში ისე მომართა ხალხის ფსიხოლოგია, რომ საქართველოს სოციალდემოკრატიამ ავტონომიის დევნა წინანდელი სიცხარით განაგრძოს. ხალხის განწყობილების ზედგავლენით შესაძლებელია მიიღონ კიდეც მათგან სასტიკათ განკიცხული პრინციპი ავტონომიისა". ასე, რაკი რეაქციამ „დაამარცხა" სოციალდემოკრატია, ჩვენც უნდა დაგვმორჩილდესო—ბრძანებენ ავტონომისტ-ფედერალისტები. ესენი რეაქციონერების „გამარჯვებას" თავის გამარჯვებათაც თვლიან, მაგრამ ცდებიან. ერთიც და მეორეც. ცოტა-ქვევით განაგრძობს „ივერია": „მართალია სიტყვა „ავტონომია" ხალხს არ უხმარია, მაგრამ მისი მოთხოვნილების თითოეული მუხლი ისეთი იყო, რაც შეადგენს ავტონომიის შინაარსს". როგორც ხედავთ, ეს „ივერიის" სიტყვები განმეორებაა „ცნობ. ფურცლის" „ახირებული პრეტენზიისა". ჩვენ ავტონომისტებს დავიწყებიათ, რომ გურიის გლეხებმა ავტონომიაზე სრული უარი განაცხადეს, როცა მათ კრიმგირეი შეეკითხათ. რაც შეეხება იმას, რომ ვითომ „გურიამ განახორციელა საქმით კანტონა-

ლური ავტონომია“, ეს პირდაპირ სასაცილოა. გურია ჩამოშორდა არსებულ რეჟიმს, ბოიკოტი გამოუცხადა ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს და შექმნა რევოლიუციონური თვითმართველობა. ასე იქცევა რევოლიუციის დროს ყველა გამარჯვებული ქალაქი, ყველა საზოგადოება; ასევე მოიქცეოდა მოსკოვი, ხარკოვი კიევი და სხვ. ასე მოიქცა ციმბირის გლეხობა, ამასვე იზამდა შიდა გუბერნიის მებრძოლი გლეხკაცობა, თუ ის გაიმარჯვებდა, როგორც—გურია. და განა მართლა ს.სასაცილო არაა ვიფიქროთ, რომ ყველა რუსეთის ქალაქები და სოფლის საზოგადოებები ავტონომისტები არიან. ან იქნებ გურულებმა, რევოლიუციონურ თვითმართველობის დროს, საქართველოსთვის ცალკე დამფუძნებელი კრება მოითხოვეს? ეს არ ყოფილა. წინააღმდეგიკი თითქმის ყოველდღე ხდებოდა—ყოველ მიტინგებზე ითხოვდენ მთელი რუსეთისათვის საერთო დამფუძნებელ კრებას.ქ „კონტონალური“ არაფერია, როგორც ხედავთ და ჩვენი ავტონომისტები, რომ გატაცებულები არ იყვნენ ბურჟუაზიული „შენ-ჩემამობით“, უეჭველათ დაინახავდენ ამას.

ერთი ახირებული ზნე სჭირთ ჩვენ ავტონომისტ-ფედერალისტებს. ისინი საკამათო საგანს ბურუსში ახვევენ და მით გულუბრყვილო მკითხველთა „მონადირებას“ ცდილობენ. ასწერენ რა **დემოკრატიულ** ავტონომიის ყოვლად უბიწობას, დახატავენ რა მას ამ ქვეყნიურ სამოთხეთ, ისინი ამ „ედემს“, **ბიუროკრატიულ** ცენტრალიზმს დაუპირდაპირებენ და გაიძახიან: აბა, შეხედეთ, სად სამოთხე-ავტონომია და სად ჯოჯოხეთი—ცენტრალიზმიო. ამავე აზრითაა ნახმარი ზემოთ მოყვანილი „ივერიის“ სიტყვებიც—„უკანასკნელმა ამბებმა“, ე. ი. ბიუროკრატიულ ცენტრალიზმმა საქართველო დაარბია, ამიტომ ყველა და მათ შორის ს. დ.-ც უნდა დაგვეთანხმოს, რომ ცენტრალისტური წყობილება არ ვარგა, ავტონომიური კი ძალიანიაო.

შემდეგ ვკითხულობთ იმავე წერილში: „.... და რამდენათაც იმ სხვა ხალხის მდგომარეობა, რომლის სისხლითაც სომხის ბურჟუაზია სუქდება, გამოურკვეველი იქნება, რამდენათაც ამ ხალხის ,სვე-ბედი მექრთამე ჩინოვნიკების ხელში იქნება, იმდენათ ეს ბურჟუაზიის ხელსაყრელი იქნება...“ ეს ორივე ციტატები ერთსა და იგივეს ამტკიცებენ, სახელდობრ: ავტონომიის გარეშე ხსნა არ არის. „მათი აზრით საქართველოში „უკანასკნელი ამბები“ მოხდა იმიტომ-კი არა, რომ რუსეთის ძველი წყობილება არ ვარგა, არამედ იმიტომ, რომ საქართველოს ავტონომია არ ქონდა. უავტონომიობის ბრალია აგრეთვე ისიც, რომ „ხალხის სვე-ბედი მოქრთამე ჩინოვნიკების“ ხელშია. ასე უნდათ დაარწმუნონ ხალხი დემოკრატიულ ცენტრალი[illegible]. საკვირველია! განა [illegible] ჩვენი [illegible]მისტ-ფედერალისტები ამ საარაკო უეცრობას, თუ მართლა „[illegible]“?

თუ [illegible]ითობენ, უკადრისი ხელობაა, თუ არ [illegible] ორივე შემთხვევაში-კი [illegible] მკითხველი საზოგადოების წინაშე. განა ს.-დ., ისეთ ცენტრალიზმის დასამყარებლათ იბრძვის, სადაც ხალხის აოხრებას და ჩინოვნიკების თვითნებობას კიდევ ექნება ადგილი? განა მისი პროგრამა ყველა ამეების წინააღმდეგ არაა მიმართული? ამ დალოცვილებს, თუ მთელი პროგრამის წაკითხვა ეზარებათ მისი ნაწილის-ნაწილი მაინც წაიკითხონ. ჩვენ მიუთითებთ ს.-დ. პროგრამა მინიმუმის 1, 2, 4, 10 და 11 მუხლზე, სადაც აშკარათაა მოთხოვნილი ხალხის სრული თვითმპყრობელობა, კანონმდებლობის მის ხელში გადაცემა, „პიროვნების და ბინის ხელშეუხებლობა“, ჩინოვნიკების სამართალში მიცემა, მსაჯულების ხალხის მიერ არჩევა და სხვა. ან იქნება ს. დ. პროგრამაში მოთხოვნილი პირობები მარტო მკვიდრ რუსებს ეხება და სხვა რუსეთის ქვეშევრდომ ერებს ძველებურათ სტოვებს? მაგრამ ასეთი აზრი არაფრით არ მართლდება. ს. დ. პროგრამაში ყველა ერის სრული და თანასწორი უფლება აღიარებული. ასეა ბატონებო! რასაც მოინდომებს ერი, მისი უმრავლესობა, და არა მისი მეტი ჩარა ნაფიცნი და არა ნაფიცნი ვექილ-ფილოსოფოსნი. ს. დ. ამას როდი ელობება, პირიქით ხელსაც უწყობს. ხალხმა, რომ ბატონ-ყმობის დაბრუნებაც მოინდომოს, ს. დ. ხელს ვერ შეუშლის,—ეს უნაყოფოც იქნებოდა—მაგრა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მას, ს. დ., თავის აზრი არა აქვს ამა თუ იმ სოციალ-პოლიტიკურ მოვლენაზე. სოციალ-დემოკრატიისთვის ავტონომიის კითხვა—ტაქტიკური კითხვაა. იმის მიხედვით, თუ როდის და რა პირობებში იმყოფება ესა თუ ის ერი, ეს თუ ის მხარე, ს. დ. ადგენს თავის ტაქტიკურ პლანს—ითხოვს, ან წინააღმდეგია ავტონომიის. კავკასიის სოციალ-დემოკრატია წინააღმდეგია ავტონომიის, რადგან მას მავნებლათა სთვლის პროლეტარიატისთვის, მის აზრს იზიარებენ კავკასიის მუშები და დიდი ნაწილი გლეხკაცობისა, ამიტომ მას არაფერი აიძულებს ამ თავის რწმენას გადაუხვიოს. თუ თქვენი აზრი მართალია დაუმტკიცეთ ხალხს, მაშინ მისი უმრავლესობა თქვენ მოგემხრობათ და გამარჯვებაც ამ მხრივ თქვენ დაგრჩებათ.

ერთი სიტყვით, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ავტონომისტ-ფედერალისტები ვერც ერთ ისეთ მოთხოვნას ვერ დააწერენ თავის დროშაზე, რომ ეს ამა თუ იმ ერისთვის სასარგებლო იყოს და ამავე დროს კი ს. დემ. ამას უარ ყოფდეს. სამაგიეროთ მათ „მოქმედებაში“ უხვათაა ისეთი ლტოლვილება, რაც ხალხს დაღუპვას და გათახსირებას უქადის. ამაზე შემდეგ

გლ.

# ახალი ამბები

✦ კავკასიის ნამესტნიკმა შეუძლებლათ ცნო თფილისის საგუბერნიო სამმართველოს მოხელეთათვის **სააღდგომო საჩუქრების** მიცემა. ჩინოვნიკებმა თხოვნა მისცეს ამას წინეთ მთავრობას ამის შესახებ.

✦ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა თამამშევმა ქალაქის გამგეობაში განცხადება შეიტანა განხილული იქნას რაც შეიძლება ამ მოკლე ხანში საკითხი უსახელო საზოგადოების **დაჯარიმების შესახებ**, რადგან ქალაქთან ხელშეკრულების ძალით ტრამვაის კანტროლიორებს, კანდუქტორებს, ვატმანებს და სხვ. შესაფერი ნომრები უნდა ჰქონდეთ, და ესკი დღემდის არ არის, ჯარიმა 52,000 მანეთს უდრის. თამამშევი ითხოულობს ეს ჯარიმა გადაახდევინონ უსახელო საზოგადოებას.

✦ სასამართლომ მისპო ახალქალაქის საქალაქო სკოლის ინსპექტორის **სოროკინის** მოკვლის განზრახვის საქმე. სოროკინის მოკვლა განეზრახათ, რადგან მას ჯაშუშობას თურმე აბრალებდენ. ამას წინეთ სოროკინი სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორათ დანიშნეს თფილისის დირექციაში.

✦ **ყაზიმეგის ქალთა სკოლას**, რომელიც კერძო შემოწირულებით ინახება დაკეტვა მოელის უსახსრობის გამო. სკოლის გამგეობა მართავს 4 აპრილს, დღისით ქართულ წარმოდგენას და იმედი აქვს, რომ საზოგადოება თანაგრძნობას აღმოუჩენს ამ ერთად ერთ ქართულ საქალებო სკოლას.

✦ 23 მარტს, ღამით რაზიეზდ ქუჩაზე ბ-ნ ამირაგოვის პროფესიონალურ სახელოსნოში, რომელიც პოპოვის სახლშია მოთავსებული, სამი შეიარაღებული უცნობი შევარდა და **გაიტაცა** სხვა და სხვა საქონელი 400 მანეთამდე ღირებული.

✦ თფილისის [illegible] **ფარს** ღამღამობით მრავალი უსაქმოთ დარჩენილები და უსახლ-კარონი აწყდებიან. თავშესაფარის გამგენი უადგილობისა გამო იძულებულნი არიან ბევრს უარი უთხრან.

✦ მიხეილის **ტეხნიკურ სასწავლებლის** მოსწავლეები პრაკტიკულ მეცადინეობას აღდგომამდე დაიწყებენ.

✦ თფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა დადგენილება თფილისის რკინის გზის სასწავლებლის ყოფილ მოსწავლეთა **ურთიერთ შორის დამხმარებელ** საზოგადოებისა.

✦ სენაკიდან ჩამოსულმა გადმოგვცა, რომ თავ. ნიკ. დადიანს **უარი უთქვამს** გლეხებისაგან სანადელო გადასახადების აღებაზე. თავისთვისაც არაფერი მოეძევათ, რომ მე რა მომცენო.

✦ ქალაქის გამგეობამ დაადგინა გამგეობის იმ მოსამსახურეთ, რომელთაც თვიურათ 30 მანეთი და ამაზე ნაკლები ეძლევათ, **სააღდგომო საჩუქრათ** 1906 წლის გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილ თანხიდან თითოს 5 მანეთი მიეცეს.

✦ ტრამვაის უსახელო საზოგადოების გამგეობამ **დაავალა** კონდუქტორებს დაახლოვებით გაიცნონ ტრამვაის ვაგონების მექანიკური მოწყობილება, სხვათა შორის დაისწავლონ, თუ როგორ გააჩერონ ვაგონები, რადგან შემთხვევა იყო ვატმანი მოკლეს და ვაგონის გაჩერება ვერ მოახერხესო.

✦ მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ქალაქის საბჭოს ხმოსანი **ა. ბ. ევანგულოვი**, ნ. ხუდადოვის თავდებობით, რომელმაც გირაოთ 5,000 მანეთი შეიტანა.

✦ დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე არტისტიულ საზოგადოების შენობაში კ.—დემოკრატების სახელით ბ-ნი კარა—მურზა წაიკითხავს **ლექციას**. „მუშათა კანონ-მდებლობაზე“.

✦ **ს. ხცისი**. პეტრე გვერწითელის მოკვლის გამო, 800 მ. გადაახდევინეს. ბოქაულმა ყაზახ-რუსები ჩაუყენა სოფელს და დიდი გაჭირვება მიაყენეს ხალხს: რაც რომ გააჩნდათ, ერთიანათ სტაცებენ, შიშის გამო ცოლშვილი ტყეში გახიზნეს.

✦ როგორც გვატყობინებენ ქუთაისიდან წასული **ხოსიპატრე (ქიჭიკო) ასათიანი**, რომელსაც პოლიტიკური დანაშაულობა ბრალდებოდა, ს[ა]რ[ა]სეთის საზღვარზე, ახაბადს იქით, **მოუკლავთ**. საწყალს დარჩა სრულიად უშემწეოთ წვრილი ცოლშვილი და მოხუცი მშობლები.

✦ გაზ. „ვოლის“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: ნამდვილ წყაროებიდან გაუგიათ, რომ ვიტეს სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდი შეუტანია. მიზეზი ის არის, რომ შეუძლებლათ ცნობს დარჩეს [illegible].

✦ სევასტოპოლის ციხეში დამწყვდეულ სოციალისტ-რევოლიუციონერებს მოუხერხებ[ია]თ საიდუმლო სტამბის დაარსება. ამბობენ, რომ ამნისტიას ჩქარა გამოაცხადებენო.

✦ ტფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულება: იმის მიუხედავათ, რომ ბრძანებაა მიცემული თფილისის გარნიზონის მიმართ არამც და არამც იარაღი არ წაართვან იმ პირთ, რომელთაც უფლება აქვთ იარაღის ტარებისა თფილისის გენერალ-გუბერნატორის-მიერ ბეჭედ-დაკრული, მაინც რამდენჯერმე განმეორდა შემთხვევა იარაღისა და თვით მოწმობების ართმევისა, რათაც თავიანთ მოვალეობას არღვევენ, ამის თვის ხელმეორეთ გავახსენებ გარნიზონის ჯარის-კაცთ ჩემს ამა წლის 21 იანვრის ბრძანებას № 23-ს

✦ გუშინ, 29 მარტს, გაზ. „კავკასია“ არ გამოსულა. მიზეზი ვერ გავიგეთ.

✦ დასავლეთ-საქართველოდან სამსახურებმა გადმოგვცეს, რომ **რაჭაში** ჯარი მეორეჯერ შესულა. გადაუწვავთ აბანოები, პატარა ონი და ბაჯი. ხალხი ისევ განსაცდელში ჩავარდნილა.

✦ გუშინ-წინ ღამის 1 საათზე მიხეილის საავათმყოფოში მოიტანეს **მოკლული** [illegible]ზაკთა აფიცერი ალექსი მაზიუკინი. ამბობენ, თითქოს მაზიუკინს თვითონვე მოუკლავს თავი. ნამდვილი ამბავი ჯერ არ იცის.

✦ სენაკიდან გვწერენ: თებერვლის ბოლოს ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის შენობაში სიეზდი იყო სასულიერო სამოსწავლო ოლქის სამღვდელოების დეპუტატებისა. სიეზდმა განიხილა 1906, 1907 წლის ხარჯთ-აღრიცხვა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის შესანახათ, ამასთანავე დაადგინა: დაიხუროს მოსამზადებელი მე-2 განყოფილება (1 განყოფილება 2 წლის წინადაც დახურეს). ცნობილმა ნაბეკოვმა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ადგილობრივ ადმინისტრაციის ჯაშუში იყო და სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველიც, ჯერ კიდევ გასულ წლის ბოლოს დაანება სასწავლებელს თავი.

✦ ამ კვირას **სოფ. არაშენდაში** მოკლეს კარგათ ცნობილი კაცი, კოტე ბერძე; ეს ჩაიდინეს იქ დაბანაკებულმა [illegible] რაზმელებმა, აბდუშელიშვილის კამპანიის მკვლელს ასახელებენ, ყოფილ გიმნაზიელს უხოვს. საკვირველია, ყველას აყარეს იარაღი და ამ ვაჟბატონებს კი არა. იმავე კვირას გაძარცვეს ახალ-ქალაქში იოსებ მეზვრიშვილი და წაართვეს, როგორც ამბობენ, სამოცი თუმანი.

✦ **ბაქოს** „ნამდვილმა რუსებმა“ მოინდომეს [illegible] ცით 25 მარტს მიტინგი და მანიფესტაცია გაემართოთ დუმის მოწვევის სახსოვრათ. ხალხში პროკლამაციები გაავრცელეს. [illegible] რამ ფიდევმა, როცა შეიტყო, რომ [illegible] ქლეტა-ხოცვის გამოწვევა უნდათ, აუკრძალა [illegible]

---

# ფელეტონი

**ვინ არიან „კადეტები“ ანუ კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები?**

(საუბარი მუშასთან)

ესენი არიან, მკითხველო, სწორეთ ის მემარცხენე ლიბერალები, რომლებზედაც მოლაპარაკებას დაგპირდი წინა წერილში. დღეს „კადეტების“ პარტია ყველასთვის საყურადღებო შეიქნა იმით, რომ სათათბიროს არჩევნებში თითქმის ყველგან უმეტეს ნაწილათ ეს პარტია იმარჯვებს; იგი შესამჩნევათ გაიზარდა, თავისი მოქმედებაც თვალსაჩინოთ გააფართოვა და რამოდენიმე ხნით მაინც უეჭველათ ერთ-ერთ გავლენიან პარტიათ გადაიქცევა, ასე რომ მუშათა პარტიას, ეჭვი არ არის, ხშირათ მოუხდება მასთან ანგარიშის გაწევა და შეხლა-შეჯახება. კადეტების პარტია ამას წინათ ჩვენშიაც დაარსდა და, მაშასადამე, ვერც ჩვენ ავიცდენთ მასთან პირდაპირ შეჯახებას და ანგარიშის გაწევას. აი ყოველივე ამის გამო განსაკუთრებით საჭიროა შეძლებისამებრ კარგათ გავიცნოთ ეს პარტია, გავითვალისწინოთ, ვინ არიან ეს კადეტები, რა უნდათ მათ და სხ.

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, მემარცხენე ლიბერალები (იგივე „კადეტები“, კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები) ეკუთვნიან უმთავრესათ ბურჟუაზიის იმ ნაწილს, რომელიც შეიცავს ინტელიგენტებს; ესენი არიან სხვა და სხვა თავისუფალ პროფესიის წარმომადგენლები: ლიტერატორები, ადვოკატები, პროფესორები, ექიმები, ინჟინრები, არტისტები, ზოგიერთი განათლებული ჩინოვნიკები, ერობათა მოსამსახურენი და სხ. ეჭვი არ არის, რომ კადეტების პარტიაში ლიბერალი მესაკუთრე ბურჟუებიც შედიან, მაგრამ ესენი შედარებით გაცილებით მცირე ნაწილს წარმოადგენენ. პარტიის დედა-ბოძს კი უეჭველათ ხსენებული ინტელიგენტები შეადგენენ. როგორც თვით მკითხველი შენიშნავდა, ეს ინტელიგენტები არ ეკუთვნიან იმ წვრილფეხა ღარიბ ინტელიგენციას, რომელიც პროლეტარულ ან ნახევრათ პროლეტარულ ცხოვრებას ატარებს და გაჭირვებით ირჩენს თავს. ლიბერალი ინტელიგენტები, პირიქით, შეძლებული ხალხია, მართალია ბევრი მათგანი დიდი „საკუთრების“ პატრონი როდია, მაგრამ სამაგიეროთ შემოსავალი აქვს ზორბა. ხშირათ შეძლებულ მესაკუთრე ბურჟუაზე ნაკლებ დალხენილი არ ცხოვრობს და საზოგადოებაში საპატიო მდგომარეობა უჭირავს.

ახლა ვიკითხოთ, რათ გამხდარან ეს ბურჟუა-ინტელიგენტები მემარცხენე, უფრო პროგრესიულ ლიბერალებათ,—ესე იგი რათ ეტანებიან ისინი უფრო ფართო თავისუფლებას, და, სახელდობ, როგორ თავისუფლებას ელტვიან. ამ კითხვის ასახსნელათ საჭიროა პასუხი გაეცეთ შემდეგ კითხვას: განსაკუთრებით რა მხრით გრძნობენ ეს ინტელიგენტები შევიწროებას.

ავიღოთ მაგალითათ ადვოკატები, ლიტერატორები, პროფესორები; ამათ განსაკუთრებითავიწროებს და აშფოთებს სიტყვის, ბეჭდვის და სწავლების თავისუფლების შეზღუდვა, რაც დიდათ ხელს უშლის მათ მოღვაწეობას. მეორე მხრით, მათ, როგორც ნასწავლ და განვითარებულ ადამიანებს, შეეძლოთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობას დღევანდელ ჩინოვნიკებზე გაცილებით უკეთესათ გაძღოლოდენ და, მაშასადამე, თვალსაჩინო პოლიტიკური მნიშვნელობა მოეპოვებიათ; დღეს კი ისინი სრულიად მოკლებული არიან ასეთ მნიშვნელობას და ეს კიდევ არაფერი, მათი ბედი ხშირათ უნიკო და უმეცარ ჩინოვნიკებზეა დამოკიდებული. ასეთივე შევიწროება აღგათ ჩინოვნიკებისაგან სხვა ინტელიგენტებსაც—ინჟინერს, რომელიმე დაწესებულების დირექტორს, სავაჭრო აგენტს, ერობის მოსამსახურეს და სხ. მათ საქმიანობაში წარა-მარა ერჩება პოლიცია ან სხვა ჩინოვნიკობა, რომლებიც მათ ხშირათ აიძულებენ ქრთამის მიცემას და სხვა ასეთ საზიზღრობას. განათლებული ჩინოვნიკიც ბევრ შევიწროებას გრძნობს: ასეთი ჩინოვნიკი უფროსებს არაფრათ ეპიტნავებათ, ისინი ხშირათ დევნიან კიდეც მას, არ აწინაურებენ მაინც შესაფერი[illegible] წინაშე უპირატესობას აძლევენ გაუნათლებელ, უმეცარ ჩინოვნიკს.

ყოველივე ზემო-თქმულის შემდეგ აშკარაა, როგორ თავისუფლებასაც უნდა ეტრფოდენ ბურჟუა-ინტელიგენტები, ე. ი. მემარცხენე ლიბერალები. მათი სატრფიალო თავისუფლება იმით არის მემარჯვენე ლიბერალთა თავისუფლებაზე გაცილებით ფართო, რომ მათ არა თუ არ ეშინიათ ამ უკანასკნელებივით, მაგ., სიტყვის და ბეჭდვის სრული თავისუფლების, არამედ რაც უფრო დიდი იქნება ეს თავისუფლება, მით უფრო მოახერხებენ ისინი საკუთარ განვითარებასაც. კავშირების და გაფიცვის შესახებაც ბურჟუა ინტელიგენტების ლიბერალობა უფრო შორს მიდის, რადგან მუშათა კავშირები და გაფიცვები მათ არაფერ ზარალს არ აყენებს, ხოლო კავშირების თავისუფლება კი მათთვისაც ძალიან სასარგებლოა, რადგან ერთმანეთ შორის კავშირების შეკვრით ისინი მოახერხებენ საზოგადოებაში და სახელმწიფოში თვალსაჩინო ძალის მოპოვებას. ვაჭრობა-მრეწველობის საქმეშიაც მემარცხენე ლიბერალები მემარჯვენეებზე გაცილებით უფრო ფართო თავისუფლებას ემხრობიან, რადგან ბაჟები და აქციზები აძვირებენ ბევრ ისეთ საქონელს, რომელსაც ბურჟუა-ინტელიგენტიც ყიდულობს, ხოლო სარგებლობა კი არც ერთი ასეთი ბაჟისაგან მათ არა აქვთ არავითარი, ისე როგორც ზოგიერთ „მესაკუთრე“ ლიბერალებს შეიძლება ექნეთ. ბურჟუა-ინტელიგენტები ბურჟუა-მესაკუთრეებზე ბევრათ უფრო ლიბერალობენ მუშათა კანონმდებლობის შესახებაც; ისინი ხშირათ თავგამოდებით უჭერენ მხარს მუშებისათვის სასარგებლო კანონებს, რადგან თვითონ მათ ეს კანონები არაფერ ზარალს არ მოუტანს, თუნდაც რვა საათის სამუშაო დღეს აწესებდეს და ამ კანონების მხარის დაჭერა კი მათ ხალხის თანაგრძნობას მოუპოვებს. სახელმწიფო წეს-წყობილებაშიაც ლიბერალ-ინტელიგენტს შეუძლია მეტი „თავისუფლება“, ანუ უკეთ მეტი უფლებები მოითხოვოს ხალხისათვის, რადგან მას იმედი აქვს, რომ ამითაც ხალხს მოიმხრობს და ხალხიც ადვილათ აირჩევს მას თავის წარმომადგენლათ ან კიდევ თანამდებობის კაცათ,—მით უმეტეს, რომ მას ხალხში გავლენა აქვს თავისი ნასწავლობით და განათლებულობით. რასაკვირველია, პირადათ ბურჟუა-ინტელიგენტებისათვის ისეთი კონსტიტუცია უფრო ხელსაყრელია, რომელიც განათლების ცენზზეა დაფუძნებული,—ე. ი. ისეთი კონსტიტუცია‘ რომელშიაც წარმომადგენლებს პარლამენტისათვის ირჩევენ მხოლოდ განსაზღვრულ სწავლის მქონე მოქალაქენი; ბურჟუა-ინტელიგენტები მაინც და მაინც არც ისეთ კონსტიტუციაზე იტყვიან უარს, რომელშიაც საარჩევნო უფლება აქვთ განსაზღვრულ შემოსავლის მქონე პირებს,—არ იტყვიან უარს არც ასეთ კონსტიტუციაზე, რადგან თვითეულ მათგანს, ხშირათ კარგა მოზრდილი შემოსავალი აქვს.

ერთი სიტყვით, ბურჟუა-ინტელიგენტები თითქმის ყოველგვარ კონსტიტუციას უჭერენ მხარს, მაგრამ რა დროს როგორ კონსტიტუციას უფრო თავ-გამოდებით დაიცავენ, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დროს როგორი პოლიტიკური პირობებია. საქმე იმაშია, რომ ინტელიგენტების რიცხვი საზოგადოების სხვა ნაწილებთან შედარებით, მეტათ მცირეა და მათ მარტო საკუთარი ძალით ოდნავაც არ შეუძლიათ ისეთი კონსტიტუცია გაატარონ, როგორიც მათ სურთ. ამის გამო ისინი ყოველ დროს იძულებული ხდებიან მხარი დაუჭირონ საზოგადოების იმ პროგრესიულ ნაწილს, რომელსაც, მათი ფიქრით, მეტი ძალა-განმავლობა აქვს ამა თუ იმ დროს. ამის დაკვალათ იცვლება მათი პროგრამაც: როცა ისინი უფრო ზომიერ პარტიას ემხრობიან, მათი პროგრამაც უფრო ზომიერი ხდება, ხოლო როცა ისინი უკიდურეს პარტიას უჭერენ მხარს, მათი პროგრამაც უფრო პროგრესიულ სახეს ღებულობს. მეორე მხრით, ისინი ცდილობენ ცხოვრებას „ალლო აუღონ“ და გამოიკვლიონ, თუ როგორი კონსტიტუცია უფრო ადვილი განსახორციელებელია დღესვე,—ის კონსტიტუცია, რომელსაც ეს პარტია თხოულობს, თუ ის, რომელიც მეორე პარტიას წამოუყენებია. თუ დარწმუნდებიან, რომ დღესვე მხოლოდ 6 აგვისტოს „კონსტიტუციის“ განხორციელება შეიძლება, ისინიც თავიანთ პროგრამას მხოლოდ და მხოლოდ ასეთ კონსტიტუციის ჩაუდებენ შინაარსათ; ხოლო თუ დარწმუნდებიან, რომ დღესვე დემოკრატიული რესპუბლიკა შეიძლება განხორციელდეს, ისინიც დემოკრატიულ რესპუბლიკას მოითხოვენ. ასეთ აბრუნდ-ჩაბრუნდის პოლიტიკას ისინი „რეალურ“, ე. ი. სინამდვილესთან შეთანხმებულ პოლიტიკას უწოდებენ. ეს პოლიტიკაა ეგრეთ წოდებულ „კადეტების“, კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების პოლიტიკა.

ამ პოლიტიკის უფრო ნათლათ გასათვალისწინებლათ და „კადეტების“ პოლიტიკურ ფიზიონომიის (სახიერების) უკეთ გასაცნობათ, გიამბობ, მკითხველო, როგორ იცვლიდენ კადეტები თავიანთ პროგრამას „დროისა და გარემოების მიხედვით“. როცა „კადეტებმა“ პირველათ არა-ლეგალური ორგანო „ოსვობოჟდენიე“ დაიარსეს (1902 წ.), მაშინ ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ თუმცა მუშები ყველაზე უფრო მედგრათ იბრძვიან, მაგრამ მათ არ შესწევთ იმდენი პოლიტიკური სიმწიფე და მომზადება, რომ რასაც მოითხოვენ, იმის განხორციელება შეიძლონ, და ეს არც სასურველია, რადგან თუ „გაუნათლებელმა“ მუშებმა სახელმწიფოში პოლიტიკური გავლენა მოიპოვეს, სახელმწიფო დაიღუპება. ამიტომ „ოსვობოჟდენელებმა“ სრულიად ზურგი შეაქციეს მუშათა პარტიის პროგრამას და კიდეც თავგამოდებით ილაშქრებდენ ხოლმე ამ პარტიის წინააღმდეგ. სამაგიეროთ ისინი პოლიტიკურ სიმწიფეს და სიბრძნეს ხედავდენ განათლებულ ბურჟუებში, განსაკუთრებით განათლებულ მემამულეებში, ე. ი. მემარჯვენე ლიბერალებში. ამათ, ოსვობოჟდენელთა აზრით, თავიანთი განათლებით და „სიბრძნით“ იმის ძალაც შესწევდათ, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობა ხელში ჩაეგდოთ, და იმისაც, რომ ამ მართვაგამგეობას ჯეროვანათ გაძღოლოდენ. და აი „ოსვობოჟდენელებმა“, ცნობილ პ. სტრუვეს მეთაურობით, სწორეთ ისეთი პროგრამა შეიმუშავეს, რომელიც იმ დროს თითქმის

...მიტინგიც და მანიფესტაციაც. („ჰარ.“).

✦ ს. გიტაშენს მარტის 23-ში ეწვია ... ოზეროვსკი 150 კაზაკით, ... ზარბაზნით და მოითხოვა იარაღი და ... სახელმწიფო გადასახადები. ხალხმა დაამზადა, როგორც დარჩენილი გადასახადები, აგრეთვე 42 თოფი, რამდენიმე ხანჯალი და ... ლაფერი ეს ჩააბარეს. ოზეროვსკი მაინც უკმაყოფილო დარჩა და მეორე დღეს 17 ჯერ ესროლა სოფელს, რითაც დაზიანდა 12 კარგი შენობა და დაიჭრა ერთი კაცი და ერთი დედაკაცი. ხვალ ოზეროვსკი მიემგზავრება თათრის სოფ. ჩაილილარში („...“).

✦ **სოფ. ტოლიდან** „ჰარაჯს“ სწერენ: ...მა შეკრიბა ამ სოფლისგან მოთხოვნილი ...ხრაასი მანეთი. შეაქუჩეს აგრეთვე ...თოფი—12 ბერდანის და 18 ჩახმახიანი. ...ლა მოთხოვნა მცირეოდენი გამონაკლისით ...ასრულეს, რომ სოფლისთვის ყუმბარები ...ლინათ, მაგრამ ამაოთ. თერთმეტჯერ ...როლეს ზარბაზანი. ზარალი დიდია. კიდევ მოითხოვეს თოფები. გუშინ ასი ყაზახი წავიდა ს. მოხრინისში, სადაც მათ ხალხს ...ემა-ტყვება, ძარცვა-გლეჯა არ აკმარეს და ...ნდილოსნების გაუპატიურებას მიჰყვეს ხელი. აშკარათ გააუპატიურეს მოხუცი დედაკაცი. ჯარიმის ასაღებათ ყაზახებმა ალყა შემოარტყეს სოფელს და ყველაფერს იკლებ...ნ. ადგილობრივ სასწავლებლის ორ მასწავლებელსაც, რომელთაგან ერთი რუსია, ...მეს. თათრებს ხელში ჯარიმა არ გადახდევინეს, საზოგადოთ მათ არას ერჩიან. ...ლა ამ ბოროტების მიზეზი მომრიგებელი შუამავალი ერმოლოვია. ტოლელებს ...ზარბაზანი მოსთხოვეს.

✦ ოლქის სასამართლომ მოსმთ უბნის ზედამხედველათ ნამყოფ ლეონიდ ტიუშევსკის საქმე, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ 22 ...ტომბერს, როცა გოლოვინის პროსპექტზე ...სვლის დროს ავლაბარშიაც სროლა ...ტყდა, ის ერთ გოროდოვოისთან ერთათ აგარონსკენ გაემურა და ბელიაროვის ქუჩაზე ...სროლის ატეხის გამო, შევარდა ამ სახლში სალდათებით და მათთან ერთათ იქ მყოფთ სროლა დაუწყო, რის გამოც მოკლულ იქნა ...გრიგოლ აბაევის ცოლი მარიამი და მათი სტუ...არი ვიღაც გიორგი, ხოლო დაიჭრა გრიგოლ, ...იოსებ და ალექსანდრე აბაევები და გრიგოლ აბაევის ქალი სოფიო.

...გაჩხრეკის დროს აბაევის ოთახში იპოვეს 2 რევოლვერი და პატრონები.

✦ ქალაქის გამგეობის წყლის-სადენ განყოფილების უფროსის კანტროლიორათ დაინიშნა ...ინჟინერ-ტეხნოლოგი კამის კირცევი და ...ბოსანცი.

✦ ქალაქის საბჭოს ყოფილმა ხმოსანმა ფლორენსკიმ განმეორებით უარი განაცხადა ხმოსნობაზე.

✦ შორაპნიდან ჩამოსულები დაბარაკობენ—ტეუილია ადგილობრივ გაზეთებში მოთავსებული ცნობა—თითქმის აფრ. შ...გვიგაძე მოკლეს.

✦ 26 მარტს, როდესაც ქალაქის საყასბოში ფულის ამკრეფი საყასბოდან ქალაქში მოდიოდა, თავს დაესხა სამი რევოლვერებით შეიარაღებული კაცი და ფული მოსთხოვეს. რადგანაც ფული თან არ ქონდა ვერცხლის ქამარი აძლია, მაგრამ უცნობებმა ამაზე უარი სთქვეს და მიიმალენ.

✦ 28 მარტს, ღამის 1½ საათზე მარიამ მირზეღოვის სახლს პოლიციის ქუჩაზე, ცეცხლი გაუჩნდა, ღამის 3 საათზე ცეცხლის მქრობელმა რაზმა ძლივს მოახერხა გადაწვისაგან მთელი უბნის დაცვა, სახლი დაგირავებული აღმოჩნდა სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკში 10,000 მანეთათ და დაზღვეული „სალამანდრის“ საზოგადოებაში 15,000 მან. ზარალი 10,000 მანეთს აღემატება.

✦ გუშინ-წინ, 28 მარტს, მე-2 საპოლიციო უბანში ქუჩაზე იპოვნეს გვამი ადამ ადამიძისა. ადამიძე სულით ავათმყოფი ყოფილა და უცბათ გარდაცვლილა.

## კავკასია.

**სამტრედია.** რწმუნებულების არჩევნები ჩვენსკენ თავდება. მთელი საბოქაულოს რწმუნებულებმა უნდა მოიყარონ თავი ქ. სამტრედიაში. აქ მთელი საბოქაულოს რწმუნებულებმა უნდა აირჩიონ თავიანთ შორის, როგორც ამბობენ, 18 ამომრჩეველი. თვითოეულ საზოგადოებას უწევს ორ-ორი ამომრჩეველი. ეს ამორჩეულები მაზრაში გამოცხადდებიან და იქიც თავიანთ შორის ირჩევენ ამომრჩევლებს გუბერნიისთვის. როგორც ვიცით, მთელი ქუთაისის მაზრის ამომრჩევლები ირჩევენ გუბერნიის არჩევნებისთვის 5 ამომრჩეველს; ასე რომ, ანგარიშით, თვითეულ საბოქაულო ნაწილს თითო სამაზრო ამომრჩეველი მოდის საგუბერნიო არჩევნებში გასაგზავნათ. მხოლოდ ისინი, ვინც საკუთარს ან სახელმწიფო მიწის გადასახადს იხდის არა ნაკლებ 15 მანეთისა, გვერდს უვლიან პირველ ორ სარითულ არჩევნებისას (ეტაპს) და მესამე სართულში ღებულობენ მონაწილეობას. როგორც სჩანს, 15 მანეთის ნაკლებ გადამხდელი მთელი საზოგადოების გლეხობა ირჩევს მაზრისთვის ორ ამომრჩეველს, ხოლო 50-ზე ან ცოტა მეტი მოსახლე 15 მან. ან მეტის გადამხდელი პირდაპირ მაზრაში მიდის. ე. ი. ერთის 15 მან. ან მეტის გადამხდელის ხმა უდრის მაზრაში ნახევარი საზოგადოების ხმას.

21 ამ თვეს ს. დიდ ჯიხაიშში მოვიდა ლ. ხოხოლან ვიცე გუბერნატორი თავ. დადეშქელიანი ქვეითა და ცხენოსანი ჯარით. მოხდა საზოგადო ყრილობა, რომელსაც გამოუცხადეს ჩვეულებრივი მოთხოვნილებანი: ფულები, ლეზერტირები, თოფები, პროკლამაციები და სხვანი; სანამ ამ მოთხოვნილებებს არ შეასრულებთ, მანამ 100 კაზაკს დავსტოვებ თქვენ ხარჯზეო. ხალხმა აღუთქვა ფულების და დეზერტირების ჩაბარება, თოფებზე უთხრა, რაც მოგვეპოვებოდა მაზრაში გამოვგზავნეთ, მთავრობამ უთხრა: ჩვენ მხოლოდ ბერდანკები გვქონდა და არა კაჟიანი თოფებით. პროკლამაციებზე უთქვამთ, ვერ ვიცნობთო. საზოგადოებას თვალებით ამოურჩევია 44 კაცი. ამ კაცებმა ათი დღის განმავლობაში უნდა დააკმაყოფილონ მთავრობა. მეორე დღეს ეწერშიც იყო ყრილობა, მაგრამ თავ. დადეშქელიანი იქ აღარ წასულა, არც მაზრის უფროსი გაუგზავნია, რადგან ეწერელებს მოთხოვნილებანი ასრულებული აქვთ. გაზაკებს დაურიგეს არ გადურჩა ჯიხაიში და ეწერის საზოგადოებაში ლუქნები, ოჯახებიდან წაიღეს: საბნები, ხალიჩები და სხვები, ლუქნებიდან: ჩაი, თუთუნი, ღვინო და სხვ. 23 დილით ჯარი საკვებით წავიდა ქუთაისისკენ, ასე რომ ჯიხაიშში არც ხსენებული 100 კაზაკი დაუტოვებიათ.

ამ რეაქციის ხანაში ბნელ ძალებთან ერთათ ამოძრავდნენ ქურდ-ბაცაცებიც. 19 მარტს, ბაზრიდან შინ მიმავალ მოგაწრე ებრაელებს ს. ბზვანში დახვედრიან რვა შეიარაღებული კაცი, წაურთმევიათ 471 მ. მოულოდნელი ებრაელებისთვის ერთი ცხენი და გაცვეთილი გზას. რეაქციის წყალობით სამტრედიის ზოგიერთ გაჭრებმა მოუშვეს თავიანთ ჯიბეებს თავი და შეუდგნენ „წურბელობას“. იცოდეთ „სვავებო“, რომ მზის ჩასვლას „ამოსვლა“ მოსდევს!

ზოგიერთ გაზეთების დამტარებლებს გაზეთების ყიდვა გამდიდრების საშუალებათ გაუხდიათ და თითო ნომერში შაურს ახდევინებენ მეიდველს. იმავე გაზეთების ადგილობრივი აგენტები მიაქცევენ ყურადღებას დამტარებლების თავგასულობას. ჩვენკენ წვიმებია და ძროლა ...

**ელოსიაშვილი**

**ლანჩხუთი** (გურია). 25 მარტს, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გამოუცხადა ხალხს: სადამოზე ადისხოვი ჩამოიარს ოზურგეთიდან და შეეგებეთ პურ-მარილითაო. ამაზე მოხელეებმა შეკრიბეს აკეთის, ნიგოითის, ჩიბათის, ლანჩხუთის საზოგადოებების ხალხი და სადგურზე შესახვედრათ მოამზადეს. გურული კაცი რომელიც ამაჟამ ეგებებოდა ბიუროკრატიის ყოველივე უსინდისობას, დღეს თავ ჩაქინდრული, სამფეროვანი ბაირაღებით, ხელმწიფის სურათით და „პურ-მარილით“ ეგებება თავის მოსისხლე მტერს! „უცხო“ კაცმა რომ შეხედოს, ამ სურათს, სულ სხვა შთაბეჭდილებას მიიღებს, მაგრამ ვინც ამ „თავ ჩაქინდრულ“ ხალხის გულში ჩაიხედავს, ის სხვას ამოიკითხავს. ადისხოვი სადგურზე მატარებლით მოვიდა, პური და მარილი მიიღო და ხალხს „ავიტაცია“ გაუწია. საინტერესოა მისი აგიტაცია: ერთ სოფელს არ მოაბრუნებდა, რომ ზარბაზანი და ხიშტი არ ეხსენებინა. ასე, რომ საზოგადოების რეაქციონერ ელემენტებსაც კი ძალიან ეწყინათ მისი მუქარა სოფლებს. „აბა ამის მეტს რას უნდა მოველოდეთ, ჩვენ ადისხოვისაგან“, ჩაიჩურჩულა ერთმა გლეხმა, „ის პირდაპირ გვეუბნება: თქვენი სახლი მეფურია და თუ არ გაიგონებ და არ მანგდები, რა ჩვენი ბრალიაო“. დიახ, ეს სიტყვები ერთი გლეხისაა, მაგრამ სხვაც მაგვარები კაცი, ყოველგან ამბავს ამოიკითხავს გაიგებდა. მე ბევრი რამ არ მინდოდა ხალხის შესახებ, მაგრამ ახლა კი დავრწმუნდი, რომ სამფეროვანი ბაირაღი და „პურ-მარილი“ ადისხოვს სასიამოვნოთ უფრო გაიგონებდა. ადისხოვი ქუთაისისკენ გაემგზავრა და ხალხის ზღვა დაიძრა ბინისკენ. გლეხები საზოგადოთ ასეთ ღირსეულ მსჯავრს სდებენ მთავრობის დამქაშებს, რომ გაგონებათ უნივერსიტეტიდან არიან გამოსულებიო.

**ფიდჯა.**

**ს. მუხაური** (ქუთ. მაზრა). სამტრედიის რეაქციის დაწყებისას, ბოქაული ბ. მაკვახაძე მობრძანდა სოფელში და მოსთხოვა ხალხს გადასახადები, თოფები, პროკლამაციები, სალდათები და წითელი რაზმელები. ხალხმა აღუთქვა ასრულება და კიდევაც შეასრულეს ყველა მოთხოვნები გარდა ორისა. პროკლამაციები ვინ არის არ ვიციითო, წითელი რაზმი არ გვყავსო; თოფებში კი სრული თოფები გვაქვსო და მოგართმევთო. ამის შემდეგ თავის თავს გადარჩენილათ თვლიდნენ, რადგან ყოველივე მოთხოვნილება დააკმაყოფილეს. ხ ხლახან გავარდება ხმა სოფელში „არიან კაზაკებიო“ და ხალხი ბარგიბარხანით მიეშურებოდა ტყეებში, ხოლო როცა ხმა ტყუილი გამოდგებოდა, ისევ ისე შინ ბრუნდებოდნენ.

მარტის 16 სოფლის კანცელარიაში სამტრ. ბოქაულის ბ. მაკვახაძის ბრძანებით მოხდა ყრილობა, მობრძანდა ბოქაული შვიდი სტრაჟნიკით (ერთი მეგრელია, ერთი რუსი დანარჩენი გურულები) შეუდგა ლუქნების ჩხრეკას და აღმოაჩინეს რამოდენიმე გირვანქა თუთუნი კონტრაბანდი და თავლის სპირტი. ერთ ლუქანში ნახეს რუსულათ ნაცემული კაცი, ეს პროკლამაციაა, თქვენს დაწიოკებას ბოქაულთან. გაჩხრეკის დროს ამ შემჩნეულ პირს აღმოაჩნდა ერთი რევოლვერი, მაგრა აღმოჩნდა, რომ მას იმ საზოგადოების მამასახლისის მიერ ქონდა მიცემული ბილეთი და განთავისუფლდა, ხოლო რევოლვერი წაიღეს. ამის შემდეგ ბოქაულმა ხალხს აარჩევია მამასახლისი და შემდეგ ათ ოჯახზე ერთი კაცი.

20 მარტს, იმავე კანცელარიაზე მოხდა ამავე საზოგადოების თავად-აზნაურებისა და სამღვდელოების ყრილობა. ერთმა ახალგაზრდა აზნაურმა ახსნა შეკრებილთ დღევანდელი არჩევნების მნიშვნელობა. დაახასიათა აგრეთვე სათავად-აზნაურო კრებები, მისი მნიშვნელობა და დაასკვნა, რომ ჩვენ მათთან არავითარი გვქონია საერთოვო; ჩვენ უნდა ჩავვიდეთ ხელი ჩვენს მოძმე გლეხ-კაცობას და მათთან ერთათ ავიხსნათ ჩვენი ინტერესების დამცველთო. ამ სიტყვის შემდეგ შეუდგნენ არჩევნების მოხდენას და აირჩიეს ორი აზნაურიშვილი, ერთი სტუდენტი, ერთი სხვადა შესავეროც, სამი წერილი მესაკუთრე სასულიერო პირი და ერთი მღვდელი.

23 მარტს, მამასახლისის თანაშემწე მოვიდა და მოწერილობა მამასახლისიდან—ჯარი მოდის და ყრილობა შეკრიბეთო. თანაშემწემ ვისაც შინ მოასწრო, ყველა წავიდა ყრილობაზე. კანცელარიაში მოვიდა სამოცამდე კაზაკები ოფიცრით და სამტრედიის ბოქაული მაკვახაძე. მოსვლისთანავე ბოქაულმა მეღუქნეებს ლუქნები დაკეტეთო, თორემ ჯარი დაგიწიოკებთო. მეღუქნეებმაც დაკეტეს ლუქნები, მარა კაზაკებმა დაამტვრიეს კარები და რაც იშოვეს, ყველაფერი წაიღეს. ბოქაულმა დაუყვირა მეღუქნეებს: თქვენ ასეთ-ისეთებო, როგორ გაბედეთ დაკეტვაო, გადავ დაავიწყოთ, მაგრამ ლუქნები კაზაკების მიერ უკვე დალეწილი იყო.

შემდეგ ხალხს მოსთხოვეს: სამი დღის განმავლობაში ყველა გადასახადების მიტანა, გაპარული სალდათების დაჭერა, ვინტოვკების ... მოტანა, თუ არა და გამოვალთ და სულ ერთიანათ გაგანადგურებთო. ამ სიტყვით წავიდნენ სამტრედიაში. ხალხი შიშში არის. პირველი გადასახადი აქვთ, სალდათები სახლში იმალებიან, არ იციან, და იარაღი არა აქვთ. ვგონებ, რომ იშოვიან ვინტოვკებს, თორემ ...

**ლ. ბ. ა.**

## რუსეთის პრესა

ყველა ჟურნალ-გაზეთების ყურადღება მიპყრობილია „კადეტების“ სოლიდარ გამარჯვებაზე. უმეტესი ნაწილი გაზეთებისა გაბარებულია ამ გამარჯვების გამო. გაზ. „მოლვა“ ამბობს:

„ბიუროკრატია შიგ თავის სიმაგრეში დამარცხდა... ხომ არავის ეჭვი არა აქვს, რომ ამომრჩეველ „დუმისაგან“ არავინ არას ელოდება, რომ „კადეტებს“ მხოლოდ იმიტომ აძლევენ ხმას (ისინიც, ვინც თანახმანი არ იყვნენ მათი პროგრამისა), რომ მათის დაცველობით წმინდა საქმე ავგიასის თავლის გამოწმენდისა. უმთავრესი დანიშნულება მომავალ „დუმისა“ და „კადეტების“ პარტიის ის არის, რომ ხალხის ხელში მათრახათ გადიქცენ. შემდეგში პარტიამ ნამდვილი „დუმა“ უნდა მიაწვიოს, ისეთი „დუმა“, რომელიც ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი იქნება“.

ნაშა ჟიზნის აზრით:

„ყველაზე გასაოცარია „17 ოქტომბრის კავშირის“ დამარცხება. ეს კავშირი პირებდა სწორეთ პეტერბურგში გაემართა გადამწყვეტი ბრძო-

მოლოდ მემარჯვენე ლიბერალთა მოთხოვნებს შეიცავდა და რომელიც ბევრათ არ განირჩევა 6 აგვისტოს „კონსტიტუციისაგან“.

აი მოკლეთ ამ პროგრამის შინაარსი: უზენაეს ძალა-უფლობას ახორციელებს იმპერატორი სახელმწიფო დუმის მონაწილეობით, ისე რომ მეფის ნება-სურვილი სრულიად გაბატონებულია ყველგან და ყველაფერში; მეფე სრული თვითმპყრობელია: მეფის ნება-დაურთველათ ვერც ერთი კანონი ძალაში ვერ შევა, მთელი სამხედრო ძალა მეფის ხელშია და სხ. და სხ... სახელმწიფო დუმა შესდგება ორი პალატისაგან—ერთს შეადგენენ „ხალხის“ წარმომადგენელნი, მეორეს-კი—ერობათა წარმომადგენელნი; ამნაირათ ერობათა უფლებას, რომლებშიაც ლიბერალები იყვნენ გაბატონებული, სრულიად უთანასწორებენ მთელი ხალხის უფლებას. ხალხი თავის წარმომადგენლებს ირჩევს დუმაში ისეთი საყოველთაო, „თანასწორი“ და სხ. კენჭის ყრით, რომელშიაც მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ ქალებს, არც იმათ, ვისაც განსაზღვრულ ადგილას ერთ წლამდე მაინც არ უცხოვრია,—ე. ი. მუშა-ხალხის ძალიან დიდ ნაწილს. ამნაირათ დუმის წევრთა დიდძალ უმრავლესობას ბურჟუაზია შეადგენს; ზედა პალატაში ხომ მთლათ და მხოლოდ ბურჟუაზია იქნება გაბატონებული, რადგან ერობები თითქმის მხოლოდ ბურჟუებისაგან შესდგება, ხოლო ქვედა პალატაში-კი წარმომადგენელთა უდიდეს ნაწილს ისევ ბურჟუაზია შეიცავს. ეს კიდევ ცოტაა! იმპერატორისაგან შეიძლება დათხოვნილ იქნას მხოლოთ ხალხის წარმომადგენელთა პალატა, ერობათა პალატა-კი არასოდეს არ დაითხოვება, და სანამ პირველი პალატა ხელმეორეთ შეიკრიბებოდეს, მეორეს, ე. ი.—ბურჟუაზიის შეუძლია, როგორც უნდა, ისე ატრიალოს ხალხის ბედის ჩარხი. ამასთან ეს ლიბერალთა კონსტიტუცია არ უზრუნველყოფდა არც პირად თავისუფლებას: ჩხრეკა, დაჭერა, პასპორტი—ყველა ამ მშვენიერებას თითქმის ხელუხლებლათ ტოვებდა; სამხედრო წესებსაც-კი აუცილებელ საჭიროებათ ცნობდა,—რასაკვირველია იმ მიზნით, რომ ბურჟუაზიას, როცა ხალხის „ალიაგმვა“ დასჭირდებოდა, სამხედრო დიქტატურაც გაეჩაღებია.

ასეთი იყო ეხლანდელ „კადეტების“ პირვანდელი კონსტიტუცია. მაშინ ისინი მხოლოდ „კონსტიტუციონალისტებს“ უწოდებდენ თავის თავს. მაგრამ დრო გადიოდა და ისინიც თანდათან რწმუნდებოდენ, რომ მესაკუთრე—ლიბერალები სულაც არ წარმოადგენდენ დიდ ძალას, პირიქით, მათი მოძრაობა საკმაოთ სუსტი და ნაკლებათ მედგარი აღმოჩნდა; ისინი დარწმუნდენ ასეთ მოკავშირეთაგან ხეირი არ გამოვაო, და ნამდვილი ძალა ახლა კი ხალხის, განსაკუთრებით მუშათა მოძრაობაში დაინახეს. მათ თითქო დაავიწყდათ, რომ მუშებს პოლიტიკური სიბრძნე აკლიათ, როგორც გაუნათლებელ ხალხს, და აი პირი იბრუნეს რევოლიუციონურ პარტიებისაკენ, დაიწყეს მათთან მიჩოჩება, დაიწყეს ნელ-ნელა გადემოკრატება (და არა, რასაკვირველია, გარევოლიუციონერება!), გაადემოკრატეს თანდათან თავიანთი პროგრამაც და ახალ პოზიციის შესაფერათ სახელიც შეიცვალეს: სიტყვას—„კონსტიტუციონალისტს“ „დემოკრატიც“ მიუმატეს და ასე „კონსტიტუციონალისტ-დემოკრატის“ სახელით მოინათლენ („კადეტები“ ხუმრობით სხვებმა უწოდეს—სიტყვიდან „კა—დე“, ქართულათ „კანდონი“—პირველი ასოებია მათი ახალი სახელის). და დღეს უკვე „კადეტების“ პროგრამა შეიცავს მოთხოვნას ნამდვილ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრის უფლებას ყველასათვის განურჩევლათ სარწმუნოებისა, ეროვნებისა და სქესისაც კი. ორ-პალატიანი სისტემა მათ თუმცა ჯერ არ უარუყვიათ, მაგრამ თავგამოდებით კი აღარ იცავენ. ხალხის წარმომადგენლები მონაწილეობას იღებენ საკანონმდებლო ძალა-უფლობის განხორციელებაში, სახელმწიფოს შესავალ-გასავლის აღრიცხვის დადგენაში და უმაღლეს და უმდაბლეს ადმინისტრაციის მოქმედების კონტროლში. არავის არ შეუძლია გამოსცეს განკარგულება ან ბრძანება, რომელიც ხალხის წარმომადგენელთა დადგენილებაზე არ იქნება დაფუძნებული; არავითარი გადასახადის და ბაჟის დაწესება, ან კიდევ სესხის აღება არ შეიძლება, თუ არ საკანონმდებლო წესით. მინისტრები პასუხის-მგებლები არიან ხალხის წარმომადგენელთა წინაშე და სხ. დემოკრატიული ხასიათი მისცეს კადეტებმა თავიანთ აგრარულ პროგრამასაც. ისინი მოითხოვენ გადაეცეს გლეხებს სახაზინო, საუფლისწულო, საკაბინეტო და სამინისტრო ადგილები, აგრეთვე კერძო მამულები, რომლებიც სახელმწიფო ხარჯით უნდა იქნეს გამოსყიდული; გაწესრიგდეს იჯარით მუშაობის პირობები, გავრცელდეს მუშათა კანონმდებლობა მიწის მუშებზედაც, მხოლოდ ზოგიერთი შეზღუდვით კი და სხ. ძალიან გადემოკრატდენ კადეტები განსაკუთრებით სამრეწველო მუშათა შესახებ. რა ენაღვლებათ, ან რა ეხარჯებათ?! და აი-ამათვის ისინი მოითხოვენ რვა საათის სამუშაო დღესაც კი, კავშირების და კრების თავისუფლებას, გაფიცვის უფლებას, დამოუკიდებელ ინსპექციას, რომელშიაც არჩეული მუშებიც იღებენ მონაწილეობას; ქალების და ბავშვების შრომის დაცვას, მუშათა სავალდებულო დაზღვევას და სხ.

როგორც ხედავ, მკითხველო, კადეტებს თავიანთი პროგრამა გადემოკრატების მიზნით შესამჩნევათ დაუახლოვებიათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა-მინიმუმთან. მართალია, მათ პროგრამაში ჯერ კიდევ შეტანილი არ არის დემოკრატიულ რესპუბლიკის მოთხოვნა, მაგრამ რა ეჭქარებათ! ცოტას კიდევ მოიცდიან და როგორც-კი დარწმუნდებიან, რომ ხალხი მათ ზურგს შეაქცევს, ის-კი არა და კიდეც დაამხობს, თუ მასთან ერთათ მათაც რესპუბლიკა არ მოითხოვეს, მაშინ ისინი ხათრისთვის რესპუბლიკასაც მოისურვებენ. ასეთ შემთხვევისათვის კადეტებს ცარიელი ადგილი აქვთ თავიანთ პროგრამაში, სადაც ისინი არც რესპუბლიკას იხსენიებენ, არც კონსტიტუციონურ მონარქიას, ჰო და თავის დროზე იქ, იმ ცარიელ ადგილას, ან მონარქიას ჩასწერენ, ან რესპუბლიკას. ჯერ-ჯერობით-კი იმ ადგილის სიცარიელე საჭიროა კადეტებისათვის, რომ ამით კონსტ. მონარქისტებიც მიიმხრონ და რესპუბლიკელებიც. „შინაურულათ“ კადეტები ჯერ-ჯერობით კონსტ. მონარქიას უფრო აღიარებენ, რა ვუყოთ, რომ მათ შორის ზოგიერთები (უმცირესი ნაწილი) რესპუბლიკას უფრო ემხრობიან? ის კი არა და, ზოგიერთები სოციალიზმსაც-კი ეარშიყებიან, თუმცა მის განხორციელებაზე დღეს ფიქრი ბალღურ ოცნებათ მიაჩნიათ! კადეტთა დიდი უმრავლესობა-კი „ჯერ-ჯერობით“ წინაამდეგია დემ. რესპუბლიკის მოთხოვნის ერთი მხრით იმიტომ, რომ რწმათ—რუსეთის ხალხის დიდი უმრავლესობა (გლეხობა) მეფის მომხრეაო, მეორე მხრით-კი იმიტომ, რომ მათ პარტიაში ბოლო დროს თავი მოიყარა ათასი ჯურის ხალხმა, ბევრმა სხვილ ბურჟუაზიულმა ელემენტებმაც, რომლებსაც რესპუბლიკა არაფრათ ეპიტნავებათ და კონსტიტუციონურ მონარქიას ეტრფიან, ასე რომ დღეს ამ პარტიაში შეხვდებით სოციალიზმის მომტრე ბურჟუასაც და სოციალიზმის „მოტრფიალე“ ინტელიგენტსაც. ეს გარემოება არის იმის ერთი მთავარ მიზეზთაგანი, რომ დღევანდელ არჩევნებში უმეტეს ნაწილათ კადეტები იმარჯვებენ: მათ თანამგრძნობნი გაუჩნდათ საზოგადოების თითქმის ყველა პროგრესიულ ნაწილში, რადგან თავის პარტიაში ისინი თავისი პროგრამის შემწეობით ყველა პროგრესიულ ელემენტებს იზიდავენ. ამას ყველაზე უფრო ის გარემოება უწყობს ხელს, რომ სხვა მემარცხენე (უკიდურესი) პარტიები ნებსით თუ უნებლიეთ ჩამოშორებული არიან არჩევნების ასპარეზს და ბურთი და მოედანი იქ კადეტებს დარჩათ, და რადგან ასპარეზზე გამოსულ დანარჩენ კანდიდატებს შორის ხალხის თვალში კადეტები ყველაზე უფრო ღირსეული კანდიდატებია, ამიტომ კიდეც მათ ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებათ. მაგრამ საკმარისია დღევანდელი პოლიტიკური პირობები შეიცვალოს და კადეტების ნამდვილი სულისკვეთებაც გამომჟღავნდეს, რომ მათი პარტიაც თანდათან შეთხელდეს და ძირ-ძირ დაექანოს, ან ჰაერში ბუშტივით ფრენა დაიწყოს.

პროგრამის სიყალბესთან ერთათ კადეტებს თან სდევს ტაქტიკის სიყალბეც. მათ ძალიან ნაკლებათ სწამთ რევოლიუციონური გზით მოქმედების მნიშვნელობა; მათ, როგორც საზოგადოთ ყველა ლიბერალებს, ჯეროდათ და ახლაც-კი ჯერათ, რომ „კანონიერი“ მოქმედებითაც და იდეური გავლენითაც მოხერხდება მშვიდობიანი გზით პოლიტიკური ცვლილების მოხდენა. ამიტომ ისინი მუდამ მხარს უჭერდენ და ლაიტონაც გზავნიდენ მთავრობასთან ყოველგვარ თხოვნა-შუამდგომლობას და ამასთან ცდილობდენ ნაციებით და რჩევების მიცემით მთავრობა თავის ჭკუაზე აემოქმედებინათ. ხმა-მაღლა და მოქმედებით უკმაყოფილების გამოცხადებას ვერ ბედავდენ, ხოლო როცა ძაან გაჯავრდებოდენ, მაშინ მხოლოდ იმას კმარობდენ, რომ ჯიბეში მუქარით მუშტს იკეთებდენ და უკმაყოფილოთ ცხვირ-ქვეშ ბურდღუნებდენ, ისე-კი რომ მთავრობას ვერ გაეგონა. მაგრამ როცა მუშათა მოძრაობის მუჯლუგუნებით მთავრობა თანდათან შეირყა და ეს მოძრაობა თვალსაჩინოთ გაძლიერდა, მაშინ კადეტებმაც გაბედეს ცოტა უფრო ხმამაღლა ლაპარაკი და არალეგალური გაზეთიც კი დაიარსეს, თუმცა წინაამდეგნი იყვნენ რევოლიუციონური გზით რამის გაკეთის. შემდეგში, როცა რევოლიუციამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, ისინიც აყვნენ მის ფეხის ხმას და დამფუძნებელი კრების მოთხოვნა დაიწყეს. აქაც სცადეს მთავრობასთან მოლაპარაკებით (სტრუვეს მოგზავნით ვიტესთან) საქმის მშვიდობით დამთავრება, მაგრამ ცდამ კვლავ ამაოთ ჩაიარათ. შემდეგ, როცა რეაქცია გაძლიერდა, მათ დამფუძნებელი კრება თითქო სრულიად დაავიწყდათ. ხოლო, როცა მთავრობამ სათათბიროს მოწვევა გადაწყვიტა, კადეტებს კვლავ მშვიდობიანი, პარლამენტარული გზით ცვლილების მოხდენის იმედი გაეღვიძათ და მთელი თავიანთი არსებით მიეცენ საარჩევნო კამპანიას, ვითომ სათათბიროს დამფუძნებელ კრებათ გადასაქცევათ. ღმერთს და ხატებს ეფიცებოდენ, რომ ამას უეჭველათ იზამენ და ყველა „დამნაშავეთ“ დასჯიან. თუ ხალხმა მხარი დაუჭირათ, ფიცის გატეხა, რა თქმა უნდა, აღარ მოუხდებათ.

**ს. ნემსიძეშვილი.**

ლა კონსტ.-დემოკრატებისთვის, აქ ის ყველაზე მაგრა გრძნობდა თავს, აქ იყო მისი მთავარი შტაბი, აქ ქონდათ მათ ყველაზე დიდი ბეჭდვითი ორგანოები, რომლებშიაც ყველაზე მხნე და ნიჭიერი მწერლები სწერენ. ეს წრე თავის თავს თვლიდა საზოგადოების ნადებათ, რუსეთის მარილათ. მაგრამ... მათ არც „სიძლიერე აღმოაჩნდათ, არც სიმაგრე".

—

ბევრი გაზეთები ცდილობენ ახსნან მიზეზი ამ საოცარ გამარჯვებისა. „რუს. გოსუდ." ამ გამარჯვებას შემთხვევას აწერს. „17 ოქტ. კავშირმა" უწყებები წესიერათ არ დაგზავნაო, ცალკე პირადობის გაშავებით თავი შეირცხვინაო და სხ.

უფრო ღრმათ ჩაუკვირდა საქმეს პ. სტრუვე „რეჩ"-ში:

„20 მარტს „კონ.-დემ." პარტიამ კი არ გაიმარჯვა, გაიმარჯვა ხალხის თავისუფლების იდეამ... პეტერბურგის ხალხის თვალში „პარტია" არის ის კალაპოტი, რომელშიც უნდა გაქანდეს ძლიერი ნაკადული ხალხის აზრის და რისხვის, ხალხის რწმენისა, რომ სამშობლო ახალ საფუძველზე უნდა მოეწყოს. უნდა გავტყდეთ, გულის კანკალით ვუცქეროდით იმ უფერულ და უსწავლელ მასას, რომელიც არჩევნებზე მოვიდა სამოქალაქო მოვალეობის შესასრულებლათ. რას იტყვის ეს ხალხი? ვაი თუ საუკუნოებით შიშს და კრძალვას შეჩვეულმა ხალხმა დააკანონოს ძველი უღელი, რომელიც მას დაადეს პეტერბურგის პატარა და დიდმა ჩინოსნებმა! ჩვენი შიში უსაფუძვლო გამოდგა, როცა დავრწმუნდით, რომ ეს ხალხიც თავისუფლებისადმი ლტოლვილებით არის გამსჭვალული, რომ ყველაფრის მიუხედავათ, ჩვენ იგი ვიპოვეთ, მან ჩვენ გვიპოვა, რომ ამ ერთმანეთის პოვნაში აღსრულდა ისტორიული აუცილებლობა, ბედისწერა. მზემ არ მოგვატყუა!"

„17 ოქტ. კავშირის" წევრი ნიკიტინი ასე ხსნის საქმეს:

„კადეტების გამარჯვება უნდა მივაწეროთ იმ დემოკრატიულ იდეებს, რომლითაც გამსჭვალულია ამომრჩევლების მასა. სოც.-დემოკრატიული იდეები, თუმცა პრაქტიკულათ მათი განხორციელება შეუძლებელია, მაგრამ საღ გონებას არ ეწინააღმდეგება... და სწორეთ ამ იდეებს კარგათ ითვისებს დღევანდელ რეჟიმის უკმაყოფილო, ტანჯული ხალხი (ესეთი ხალხი კი უმეტესობას შეადგენს)".

ხალხი თავისუფლების პირველ გაგონებაზევე უნდა წაყოლოდა იმ პარტიას, რომელიც ამ თავისუფლებას დაპირდებოდაო.

## მუშათა ცხოვრებიდან

—

**ამხ. „შრომის" სტამბა თფილისში.** იყო დრო, და მას აქეთ არც ისე დიდი ხანია, როცა ამ ამხანაგობის „აქციონერები", ყოფილი დაქირავებული მუშები, ყველა თუ არა, ზოგიერთი მათგანი მაინც, სხვა მუშებთან ერთათ მხურვალე ბრძოლას ეწეოდენ ხაზეინების წინააღმდეგ ეკონომიურ ნიადაგზე, მაგრამ დრონი იცვალენ და ჩვენი თავგამოდებული მებრძოლნი მუშების საქმისათვის, რაკი „აქციონერები" გახდენ, მუშების მოწინააღმდეგე მებრძოლათ გამოვიდენ. ჩვენ საჭიროთ არ მიგვაჩნია, მათგან ჩადენილი „საქმენი საგმირონი" აღვნიშნოთ გაზეთის ფურცლებზე, ვინაიდან ვისთვისაც ეს საყურადღებოა, ისედაც კარგათ იციან. ჩვენ გვინდა ამხანაგების ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ამ ვაჭბატონების გაღვიძებულ მადას ზოგიერთი მათთან მომუშავე ჩვენი „ამხანაგები" ბრმათ ემორჩილებიან და ამგვარათ ჩვენ საერთო საქმესაც, შეიძლება მათდა უნებურათაც, მტრობენ. ვინ არ იცის, რამდენი ბრძოლა დასჭირდა სტამბის მუშებს რვა საათის სამუშაო დღის შემოსაღებათ და ზედმეტ მუშაობის მოსასპობათ. ამდენ ხანს ეს „აქციონერებიც" ნებით თუ უნებლიეთ ემორჩილებოდენ საერთო დადგენილებას, მაგრამ ახლა, როცა რეაქციამ თავი წამოყო და განმათავისუფლებელი მოძრაობაც თითქო მინელდა, გულმოდგინეთ შეუდგენ მუშების დადგენილებათა გაუქმებას. ჯერჯერობით ისევ განახლეს ზედ-მეტი მუშაობა და თუ დასცალდათ, ვინ იცის, აწი რას არ შემოიღებენ. მოვაგონებ მათთან მომუშავე ამხანაგებს, რომელნიც მათ ნებას ემორჩილებიან, ჩაუფიქრდენ რა დიდ დანაშაულს ჩადიან ამხანაგების წინაშე, როცა ასე არღვევენ საერთო დადგენილებას, და რომ ისინი პასუხისმგებელი იქნებიან მათ წინაშე!

**ჯაჯა.**

—

**მიქელაძის და აკოფოვის სამკერვალო თფილისში.** თფილისში საზოგადოთ მკერვალები ყოველგან ნაჭრობით მუშაობენ. ამას წინეთ მიქელაძის და აკოფოვის სამკერვალოს მუშები გაიფიცენ და დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ მოსპეს ნაჭრით მუშაობა და დაამყარეს თვიური მუშაობა. ეს გაფიცვა ისეთ დროს იყო, რომ მაშინ ხაზეინს აუცილებლათ უნდა დაეთმო, რადგან ზაკაზები თავზე საყარი ქონდა. მაგრამ ახლა თან და თან ცდილობს აიძულოს მუშები, რომ ნაჭრით იმუშაონ. აწი ზაფხული მოდის და მუშაობა კი ნაკლები ექნება. ამ დროს მაინც იძულებულია აძლიოს ჯამაგირი მომუშავეებს. მაგრამ ამის მისაღწევათ საჭიროა მუშების ისეთი კომპლექტი იყოლიოს, რომ მათ ძალიან ნაკლებათ ესმოდეთ ამ ნაირი მუშაობის მავნებლობა, ამიტომ იმათ დაუსახავს მიზნათ მოწინავე მუშების თავიდან მოშორება. გუშინ, 28 მარტს იმას მოუნდომებია ერთი ჩვენი ამხანაგთაგანის გაგდება. პირ და პირ ვერ უთქვამს და ამიტომ შეუტანია მაზეზი მის მიერ გაკეთებულ სამუშაოზე; ეს ასე არ უნდაო და სხვა, როდესაც ყველაფერი რიგზე იყო. გარდა ამისა ის ამხანაგი ითვლება საუკეთესო მოხელეთ მკერვალებში, რასაც დაამტკიცებს მთელი თფილისის მკერვალები. ასეთი უსამართლო შემჩნევა ვერ მოითმინა მან და ხაზეინს საკადრისი პასუხი გასცა და დაუმტკიცა, რომ ის განგებ ემიზეზება მას. გაჯავრებულ ხაზეინს დაუწყია ყვირილი, მისთვის უწოდებია „ბუნტოვშიკი", სოციალისტი და სხვ. მერე უთქვამს, წადი, მომშორდი აქედანო. როდესაც სამაგიერო პასუხი მიიღო, მაშინ იქამდის მისულა ხაზეინი, რომ ბიჭისთვის უბრძანებია გოროდოვოის დაუძახე, იქნება შევაშინო და მომცილდესო, მაგრამ როდესაც ამ მუქარამ ვერ გასჭრა, მაშინ ისევ უკან დააბრუნა კაცი. საქმე სწორეთ ცუდ შედეგს მიიღებდა, მაგრამ ისევ თითონ ხაზეინი გასცილდა მომუშავეს, რომელმაც მთელი მომუშავეების წინ დაამტკიცა მისი მოქმედების მიზეზი. სამწუხაროთ უნდა აღვნიშნოთ, რომ იქ მომუშავე მუშები გულ-გრილათ უყურებდენ თავის ამხანაგის ასეთ შეურაცხყოფას.

**დ.**

# რუსეთი

—

**პეტერბურგი.** ახლოვდება სახელმწიფო „დუმის" გახსნის დრო და მთავრობა ცდილობს რაც შეიძლება მეტი კითხვები გადასჭრას „დუმის" გახსნამდე. 22 მარტის კრებაზე სახელმწიფო საბჭოს სხვათა შორის განუხილავს კითხვა, თუ როგორ უნდა დაისაჯოს ის პირი, რომელიც სახელმწიფოს საკრედიტო დაწესებულებების შესახებ ტყუილ ხმებს გაავრცელებს. ფინანსთა მინისტრს უთქვამს, „რევოლიუციონურ აგიტაციას უკიდურეს პარტიებისას სხვათა შორის მიზნათ ქონდა როგორმე დაეჯერებინა ხალხი, რომ ხაზინა კოტრდებაო. ამ აგიტაციამ ხალხზე ისე იმოქმედა, რომ შემნახველ კასებიდან 130 მილიონი მანეთი გაიტანეს. რევოლიუციონერებს უნდოდათ საქმე იქამდის მიეყვანათ, რომ სახელმწიფოს უარი ეთქვა ფულის დაბრუნებაზე. არსებულ კანონებში არ მოიპოვება მუხლი, რომლის ძალითაც შეიძლებოდეს ამნაირ აგიტაციის დასჯა. ამიტომ სასჯელთა კრებულში ახალი მუხლი უნდა იყოს შეტანილი: „ვინც ხალხში გაავრცელებს ტყუილ ხმებს, რომლებიც სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებს ხალხში ნდობას დაუკარგავენ, ან ხალხს დააჯერებს, ეს დაწესებულებები ვალის გადახდას ვერ შესძლებენო,—დაპატიმრებულ იქნება ციხეში 2 თვიდან 2 წლამდე და ოთხ თვემდე.

**არჩევნები.** მოსკოვის გადასასახლებელ ციხეში დაპატიმრებულმა ლგოვის საერობო გამგეობის თავმჯდომარემ შირკოვმა მინისტრს შემდეგი თხოვნა გაუგზავნა: „რადგან ქ. ლგოვმა ამომირჩია კურსკის სარჩევნო კრების ამომრჩევლათ, გთხოვთ 25 მარტს კურსკში გამგზავნოთ, რომ შევიძლო ჩემი მოქალაქეობრივ ვალის ასრულება".

**ორიოლი.** გლეხს ისტხოვს, რომელიც გლეხთა კავშირის პროგრამას უმარტავდა გლეხებს, 100 მან. ჯარიმა მიუსაჯეს.

**ეკატერინოსლავი.** დასრულდა საგუბერნიო არჩევნები მუშებში. არჩევნები ისე იპყრობს ყურადღებას, რომ 187 რწმუნებულიდან 185 გამოცხადდა. ყველა 6 ამომრჩეველი მემარცხენენი არიან. დიდის ყურადღებით მოექცენ მუშები ციხეში დაპატიმრებულ ამხანაგებს: საბჭოსაგან სასადილოებისთვის გადადებული ფული ამხანაგებს ციხეში გაუგზავნეს, ერთმანეთში ოთხი თუმანი შეკრიბეს მათ ცოლშვილის სასარგებლოთ.

„ვეჩ. გოლოს"-ს საიმედო წყაროებიდან შეუტყვია, რომ თურმე ვიტეს ვიღაცასთვის დაუვალებია გამოარკვიოს, რა კავშირი აქვს კ.-დ. პარტიას უკიდურეს მემარცხენეებთან. ვიტეს თურმე აზრათ ქონია „კადეტებთან" დაახლოვება. მეო, უთქვამს მას, ყოველთვის იმ პარტიასთან მინდა დავახლოვდეო, რომელსაც ხალხი თავის ნდობას გამოუცხადებსო. თუ ჯერ „17 ოქტომბრის" პარტიას დავუახლოვდი, ეს იმიტომ, რომ ეს პარტია ყველაზე პოპულიარული მეგონაო. და თუ ხალხი „კადეტებს" უცხადებს ნდობას, მთავრობის ვალია, ამ პარტიას დაუახლოვდესო. ამიტომ არის საჭირო ვიცოდე, რა კავშირი აქვს ამ პარტიას რევოლიუციონერებთანო. თუ ეს კავშირი არსებობს, მაშინ მე იძულებული ვიქნები „დუმის" გახსნისთანავე სამსახურიდან გადავდგეო.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი. კლერიკალების ამბოხება არმიაში.** როგორც ამის წინ თ. გაზ. „ელვაში" ვწერდით, საფრანგეთში კლერიკალ გლეხთა ამბოხებას საფრანგეთის სამხედრო პირნი—ოფიცერ-სალდათები ძალიან თანაგრძნობით შეიცქერენ. როცა უკანასკნელთ მთავრობა უბრძანებდათ ამბოხებულთ დასამშვიდებლათ ძალა ეხმარნათ, ოფიცრები—სალდათები მთავრობის ასეთ ბრძანებას არ ასრულებდენ. თუმცა-მაქცი სამხედრო მთავრობაც ურჩს და გაუგონარ ოფიცერ-სალდათებს მძიმე სასჯელს აძლევდა, თითო დღე სამხედრო არესტით ატყვევებდა ან და მთლათ ამართლებდა. მთავრობის ასეთმა ღმობიერმა საქციელმა ოფიცრებ—სალდათებისადმი, უკანასკნელნი ძალიან წაახალისა, მთავრობის ბრძანებას არ შესრულება არმიაში ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა.

ამ რამდენიმე დღის წინათ, როგორც „ფორვერტს" ატყობინებენ, ერთ საარტილერიო პოლკის უფროსმა თავის პოლკის ერთ კაპიტანს, რომელიც ამბოხებულ კლერიკალ გლეხთა დასამშვიდებლათ იყო გაგზავნილი, წერილობითი ბრძანება გაუგზავნა, რაშიაც სწერდა: იმ შემთხვევაში, თუ გამაგრებული მონასტრების ნებით არ დაგნებდენ, იარაღის საშუალებით დაიმორჩილეო. კაპიტანმა მაშინათვე საპასუხო წერილი გაუგზავნა თავის პოლკის უფროს შემდეგის მოხსენებით: „თქვენ გვიბრძანებთ, მე უნდა წესიერება აღვადგინო, მთავრობის მოხელენი დავიფარო ამბოხებულებისაგან, თუ საჭირო იქნება იარაღიც ვიხმარო კლერიკალ გლეხთა წინააღმდეგ... მაგრამ ყველა ამ გვარი ღონისძიებანი მთლიანათ ეწინააღმდეგება ჩემს რელიგიურ შეხედულებას, ჩემს სვინდის, კათოლიკური მოვალეობა ნებას არ მაძლევს თქვენი ბრძანება სისრულეში მოვიყვანოთ.—პოლკის უფროსმა კაპიტანის ურჩი საქციელი გაასაჩივრა სამხედრო სამართალში, რომელთაც დიდი პროცესის შემდეგ მთლათ გაამართლეს კაპიტანი. პოლკის უფროსმა კაპიტნის საქმე შემდეგ სამინისტროში გადიტანა, განსახილველათ, სამხედრო მინისტრმა კაპიტანის საქციელი უკანონოთ სცნა და კაპიტანი სამსახურიდან გადააყენა. ამასთან, სამხედრო საბჭომ მთელ სამხედრო რაიონებში ცირკულიარები დაუგზავნა, აფრთხილებდა აფიცრებს, ერთი ალკაიდან მეორეზე იქნებით გადაყვანილი, უკეთუ მთავრობის ბრძანებას სისრულეში არ მოიყვანთო. მოელი მილიტარები ისე ყოფილან ფანატიკურ-კლერიკალურ იდეებით გაჟღენთილები, რომ სამხედრო სამინისტროს სულ უბრალო განკარგულებამ მათ შორის დიდი მოძრაობა გამოიწვია და ჯარების უმრავლესი ნაწილი მზათაა მთავრობის ამ გვარ განკარგულებას პროტესტი განუცხადოს. როგორც ვხედავთ, კლერიკალიზმი საფრანგეთში ჯერ ისევ ძლიერი ყოფილა მაუხედავათ იმისა, რომ საფრანგეთის სოციალისტებმა, ჟორესის მეთაურობით მასთან ბრძოლას მთელი თავისი ძ ლ-ღონე შეალიეს!

**ამერიკა. ორგანიზაციულათ შეკავშირებული მუშები და პოლიტიკა.** ამ რამდენიმე დღის წინათ შეერთებულ შტატების მუშათა კავშირის დეპუტატები წარუდგენ პრეზიდენტ რუზველტს და გაასაჩივრეს, რომ მუშების ინტერესები ძალიან შელახულიაო; სასამართლო გაფიცულ მუშებს უკანონოთ ექცევა— მოუდგომლობას არა დროსაც არ იჩენს, მთავრობის წარმოებებში მუშებისათვის დაკანონებული რვა საათი სამუშაო დრო სისრულეში არ არის მოყვანილი, ჩინელ მუშებს მთავრობა კაპიტალისტების სასარგებლოთ ამერიკის კარები გაუხსნა და თავისუფლათ გვიწევენ კონკურენციას სამუშაო ბაზარზეო.

პრეზიდენტმა მოკლეთ და მოჭრილათ უპასუხა, რომ მათი საჩივარი დაუსაბუთებელი არისო! რუზველტის უსამართლო პასუხმა მუშათა დეპუტატები და საერთოთ მუშათა კავშირები დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია და მუშებში დიდი უნდობლობა დაბადა მთავრობისადმი. ამათ საყოველთაოთ დაადგინეს მომავალ არჩევნებზე თავიანთი კანდიდატები გაიყვანონ, რომლებიც მუშათა ინტერესებს ყოველგან და ყოველთვის, თავ-გამოდებით დაიცავენ.

# დეპეშები

(პეტერბურგის და რუსეთის დეპ. სააგენტოსაგან).

27 და 28 მარტი.

**ვორონეჟი.** ქალაქის არჩევნების წინააღმდეგ პროტესტი გუბერნიის კომისიამ უყურადღებოთ დასტოვა.

**კალიში.** ტურსკის მახლობლათ ექვსმა შეიარაღებულმა ბოროტ-გამზრახველებმა მამავალი ვაჭარი გალახეს და გაძარცვეს.

**კამენეც-პოდოლსკი.** სახელმწიფო დუმის წევრებათ აირჩიეს გლეხი პეტრე მიხაილენკო, ილია კუჩერენკო—წერა-კითხვის არ მცოდნე, ვასილი ბეი, ალექსანდრე რომანიუკი, ეგნატე კოსარენჩუკი, ანდრია რიბაჩოკი, დომენტი შეპიტკა, პეტრე იარენკო, მეეტლე მაკარი ავერკიევი, ილია გნატენკო, ლევანტი შტეფანიუკი, ივანე კრუკი—წერა-კითხვის მცოდნენი, ყველა პარტიის გარეშენი.

**ოდესა.** სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა მიუსაჯა სტრაჟნიკს მიხელ იგნატიევს, რომელსაც ედებოდა ქალის და სამი თვის ბავშვის მოკვლა, აგრეთვე მეორე ქალის დაჭრა, რომლებმაც 25 კ. არ მისცეს, რადგანაც არ ქონდათ. დანაშაულობა იგნატიევმა ჩაიდინა დნეპროვსკის მაზრაში, სადაც ის იყო გაგზავნილი გლეხების არეულობის დროს.

**ეკატერინოსლავი.** მილების ქარხნის მუშის ბინაზე ორი ყუმბარა და რამდენიმე რევოლვერი აღმოაჩინეს.

**ჩიტა.** ადმინისტრაციამ გაზ. „დაურსკი ვესტნიკი" დახურა, რადგანაც მცხოვრებლებს სამხედრო უწყების წინააღმდეგ აღელვებდა.

**ნოვორადომსკი.** 12 შეიარაღებული კაცი დაეცა მაღაზიას ოსტროვსკის ქონებას, წაიღეს 100 მ. მეტი, მძიმეთ დასჭრეს გმინის სამართველოს მწერალი.

**მაგილევი** სახელმწიფო დუმის წევრებათ აირჩიეს სამი გლეხი ვასილი კორენკოვი, მარკოზ სვიაშენიკოვი და თედორე ბუსლოვი, პირველი ორი პარტიის გარეშე, წერა-კითხვის მცოდნეა, ბუსლოვს რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებელი აქვს გათავებული, არის სოციალდემოკრატი. აგრეთვე აირჩიეს აზნაური ალექსანდრე ხომენტოვსკი და გრიგოლ ტვიორდი, ორივე უმაღლესი განათლებით, კადეტებია.

**კოსტრომა.** სახელმწიფო საბჭოს წევრათ ერობიდან აირჩიეს ალექსანდრე პერომებინი, კადეტი.

**ჩიმკენტი.** ღამით დაიჭირეს სამი კაცი ყალბი ფულების გამსაღებლები; გაჩხრეკამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. ქალაქში და მაზრაში ბევრი ყალბი მანეთიანი და ათ შაურიანი არის გავრცელებული.

**რიგა.** სახელმწიფო სათათბიროს ამრჩეველათ აირჩიეს გუბერნიის წინამძღოლი ბარონ ბუქსგოვდენი.

**კამენეც-პოდოლსკი.** სახელმწიფო დუმის წევრათ გლეხებიდან აირჩიეს ნაფიცი ვექილის თანაშემწე ზაბოლოტნი.

**შულავერი.** მაზრაში სრული მშვიდობიანობაა, პოლკოვნიკი ზოლოტარიოვი ასი კაზაკით, ერთი როტა სალდათებით და არტილერიით დადის სოფლებში. ბევრმა იარაღი ჩააბარა.

**ბელგრადი.** პოლიციამ მესტამბეებს აუკრძალა შეთქმულობის მოწინააღმდეგეთა გაზეთების ბეჭვდა. რედაქტორების კომიტეტმა მთავრობას პროტესტი განუცხადა, რომლითაც წინააღმდეგობას აცხადებენ ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების და კონსტიტუციის დარღვევისათვის.

**ვარშავა.** დროებით. გენ.-გუბერნატორმა გააუქმა განკარგულება, რომელიც შეეხება ადმინისტრატიული წესით გადაწყვეტას მშვიდობიანობის, მართვა-გამგეობის წესრიგის და პიროვნების უშიშროების საწინააღმდეგო საქმეებისას, ასეთი საქმეები გადაეცემა სასამართლოს.

**ბელოსტოკი.** ჩესტოხოვის ქუჩაზე ყუმბარა გადააგდეს. არავინ დაშავებულა.

**მოსკოვი.** კენჭის დათვლა რამდენიმე ნაწილში საღამოს 5 საათზე გათავდა. გამოირკვა, რომ მთელ ქალაქში 40,000 ამრჩეველებში კადეტებს ხმა მისცა 36,932 კაცმა, ოქტომბრისტებს და ვაჭრობა-მრეწველობის ბლოკს—12,435, მონარქისტების ბლოკს—2263. ოქტომბრისტების ბიუროს კრება იყო მათი დამარცხების მიზეზების გამოსარკვევათ: დაადგინეს შეერთებულით იმოქმედონ და ვაჭრობა-მრეწველობის პარტიას ჩამოშორდენ. ხალხის თავისუფლების ცენტრალურმა კომიტეტმა სახელმწიფო დუმის წევრებათ აირჩია მურომცევი, თავადი პ. დოლგორუკოვი, კოკოშკინი და ერთი მუშა მუშების ამრჩევლების ჩვენებით.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო დუმის წევრებათ აირჩიეს კოსტრომაში გუბერნიის ერობის ხმოსანი საფონოვი, კადეტი. არჩეულებში ოგოროდნიკოვი, ნაფიცი ვექილი და ფრენკელი, ერობის სანიტარული ბიუროს მმართველი, ორივე—ადგილობრივი ლიბერალი—კადეტების ორატორია. ქალაქის ამრჩევლების სიეზდმა ამრჩევლებათ აირჩიეს ნიკოლაევში პროგრესისტი; ყაზანში ქალაქის ხუთ ნაწილში აირჩიეს 45 კადეტი და 12 ოქტომბრისტი; ხოტინში და აკერმანში ხელმეორეთ პროგრესისტები აირჩიეს.

სატარიფო კომიტეტმა სამხრეთ რუსეთის მთამადნის მწარმოებლების შუამდგომლობა ტარიფის დაკლების შესახებ უარყო.

გამოქვეყნებულია უმაღლესათ დამტკიცებული აზრი სახელწიფო საბჭოსი, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის დებულების ზოგიერთ დადგენილებათა შეთანხმებას 1905 წ. 17 აპრილის ბრძანებასთან, სარწმუნოების თავისუფლებისა და სისხლის სამართლის ახალი დებულების მეორე თავის მოქმედებაში მოყვანის შესახებ.

ღამით 27 მარტს გაძარცვეს სოროკინის ვეცხლის მაღაზია და წაიღეს 35 ათასი მან. ღირებული საქონელი. სახელმწიფო დუმის წევრებათ აირჩიეს: ორიოლში გუბერნიის წინამძღოლი მიხეილ სტახოვიჩი, ოქტომბრისტი, ორი გლეხი; კოსტრომაში აირჩიეს 5 კაცი; გარკოვში დამატებითი არჩევნებზე აირჩიეს გუბერნიის წინამძღოლი და ერობის კაცი. ქალაქის სიეზდმა ამრჩევლებათ აირჩიეს ყაზანში კადეტები, ტაგილში და სოლიკამში, პერმის გუბერნიაში, მემარჯვენეები, ფალეიკში, ნოვოხოპერში და შადრინსკში—კადეტები; აკერმანში ხელმეორე არჩევნებზე აირჩიეს კადეტები.

გაზ. „რუსსკოე გოსუდარსტვო" იტყობინება, რომ განსაკუთრებულმა საბჭომ ფინლიანდიის სეიმის კანონების და არჩევნების შესახებ პროექტის განხილვა დაასრულა. სრულიად რუსეთის საალებ-მიცემო კავშირი დროებით მოქმედებას სპობს ვინაიდან ახალი კანონის ძალით მისი არსებობა უკანონობა იქნება. გუბერნიის არჩევნების კომისიის კრებამ განიხილა 20 მარტს პეტერბურგში მომხდარი არჩევნების სისწორე. კომისიამ ამრჩეველთა რიცხვიდან გამორიცხა ნაფიცი ვექილი გესენი, მარგულიესი და პროფესორი ხოოკი, რომლებსაც სისხლის სამართლის დებულების 129 მუხ. ბრალს დებენ. ამათ ნაცვლათ ჩაიწერა პერცოვი, ბრანფანი და ლისაჩოვი. 28 მარტს სამოსართლო პალატაში გაირჩა სტუდენტი დავიდოვის საქმე, რომელსაც ედებოდა 1905 წ. 9 იანვარს არეულობაში მონაწილეობის მიღება, ბარიკადების გაკეთება და იარაღების საწყობის დანგრევა. დავიდოვს 14 თვით წინასწარი დატყვევების ჩათვლით გამასწორებელ რაზმში დაპატიმრება მიუსაჯეს.

ქალაქის სიეზდმა ვლადიმირში აირჩია 2 ებრაელი, კერძო ვექილი და ვაჭარი; ორლოვში—ერობის ექ-მი, კადეტი; ასტრახანის სამ ნაწილში კადეტებმა გაიმარჯვა, ორში კი მონარქისტებმა. პენზაში არჩევნები გააუქმეს; კალუგაში სახელმწიფო დუმის წევრათ აირჩიეს გუბერნიის საერობო სამმართველოს თავმჯდომარე ობნინსკი, კადეტი და ვოლოსტის მამასახლისი „მეფისა და წესიერების" პარტიის წევრი.

**მოსკოვი.** ელექტრონის საზოგადოების ქარხნის 400 მუშა გაიფიცა. ქარხნის ადმინისტრაციამ მუშები დაითხოვა, რადგანაც გზობა წინდლით თავისი ნებით მუშაობას თავი დაანებეს.

**იაროსლავი.** განკარგულება მოვიდა, რომ სამი უფროსი კლასი სასულიერო სემინარიისა დაიხუროსო.

**ყაზანი.** გაზ. „ობნავლენიე" იტყობინება, რომ სოფ. ალან-შინშიკის მცხოვრებთ უმრავლესობა პურის სოკოთი მოწამლულა.

**კოვნო.** კოვნოდან 15 ვერსის მანძილზე ფოსტა გაძარცვეს, ფოსტალიონი დასჭრეს და წაიღეს 14 ათასი მანეთი.

**ვარშავა.** გაპარსკის კანტორიდან გაიტაცეს 6000 მ.

**სიმფეროპოლი.** სახელმწიფო დუმის წევრათ აირჩიეს სევასტოპოლის გიმნაზიის მასწავლებელი სიპიაგინი, უკიდურესი მემარცხენე.

**ბრესტლიტოვსკი.** სახელმწიფო დუმის წევრების არჩევის დროს გლეხები ებრაელებს შეუერთდა, რის გამო დემოკრატიულმა ელემენტებმა გაიმარჯვა.

**რომი.** გაიხსნა ფოსტის კონგრესი. აბისინიამ სურვილი განაცხადა შეუერთდეს ფოსტის კავშირს.

**ნეაპოლი.** ვეზუვის ახლო-მახლო ადგილებიდან დამამშვიდებელი ამბები მოდის. გაზეთების სიტყვით გაქცეულთა რიცხვი 150 ათასამდეა.

**ცეტინიე.** გუშინ ნაშუადღევის ორი საათიდან დღეს დილამდე ყვითელი წვიმა მოდიოდა. ყველა ქუჩები სქლათ დაფარულია ყვითელი მტვერით. ასეთივე წვიმა სხვა ადგილებშიაც მოვიდა. ფიქრობენ, რომ ის ვეზუვის ამოხეთქისაგანაა გამოწვეული.

**ლანსი.** ცეცხლი მადაროებს სულ უფრო ედება.

**ნეაპოლი.** ფერფლის და ქვიშის წვიმისაგან დღეს ჩაინგრა მონტელივოტოს სახურავი, რომელშიაც ბაზარი იყო მოთავსებული. მთელი შენობა დანგრეულია. ნანგრევებიდან 70 გვამი და 70 დაჭრილი ამოიღეს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში მინ.-პრეზიდენტმა ჰააგის კონფერენციის გამო განაცხადა: ვერ ვიტყვი, მოხერხდება თუ არა შეიარაღების შემცირების ცხოვრებაში გატარება, ყოველ შემთხვევაში ბრიტანიის მთავრობა სავსებით თანაუგრძნობს ამასო.

**პარიჟი.** ზღვათა მინისტრმა გადასწყვიტა ესკადრა გაგზავნოს ნეაპოლში დაზარალებულ ხალხის დასახმარებლათ.

**ლონდონი.** ქვედა პალატამ მიიღო კანონ-პროექტი სკოლაში სწავლების შესახებ. კონსერვატორები წინააღუდგენ კანონ-პროექტს, რადგანაც ის სარწმუნოების თვალით შეუწყნარებელია. მთავრობის პარტიის ორატორები იცავდენ კანონ-პროექტს.

**თეგერანი.** ერთი სოტნა კაზაკებისა ემზადება ხორასანში წასასვლელათ და იქ კარანტინის შესაკვრელათ, შავი ჭირის წინააღმდეგ, რომელიც მძვინვარებს სეისტანში.

**ნეაპოლი.** სან-ჯუზეპოში დაინგრა საყდრის სახურავი წირვის დროს. ჯერ-ჯერობით ნანგრევებიდან ამოიღეს 49 გვამი.

**კონსტანტინოპოლი.** სერბიის მთავრობა იტყობინება, რომ ის ღებულობს პორტის გადაწყვეტილებას სავაჭრო კონვენციის შეცვლის შესახებ. უკანასკნელი გადაეცემა მინისტრთ. საბჭოს და შემდეგ სულთანს დასამტკიცებლათ.

რედაქტორ-გამომცემელი **გრ. მახარაძე**.

თფილისი, ელისაბედის ქუჩა, სტამბა კ. თავართქილაძისა, № 17.